# სახალხო გაზეთი

№ 572 ხუთშაბათი, 12 აპრილი, 1912 წ. № 572

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართ. „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი №12-29.

გაზეთის ფასი წლიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

კვლავ ვაცხადებთ, რომ
„სახალხო გაზეთს“
ფულის მიღების უფლებით, არავითარი აგენტი არსად არა ჰყავს, გარდა წ.-კ. საზ. მთავარ მაღაზიისა,
და ამიტომ პასუხსაც არავის წინაშე არ აგებს.
„სახალხო გაზეთი“-ს კანტორა.

1912 წ. **სახალხო გაზეთი** 1912 წ.
(სურათებიანი დამატება)
მიიღება ხელის-მოწერა
**წლიური ხელის-მომწერნი (8 მ. 50 კ.) მიიღებენ სალიტერატურო კრებულს გრდემლს.**
აპრილიდან წლის ბოლომდე ღირს 6 მ. 75 კ.
ერთი თვით 75 კაპ.
გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ **თვის 1 რიცხვიდან,** მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს მიმდინარე 1912 წლისა.

### თ. ჯამბაკურ დავითის ძე გურიელის

გარდაცვალების შემდეგ მეორმოცე დღეს დანიშნულია წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად ქ. ქუთაისში საფიჩხიას ეკკლესიაში, შაბათს, 14 აპრილს, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დები, ძმები, დისწულები და ძმისწული განსვენებულისა. (3—1198—1)

**მართა ხოფერიასი დგებუაძის ასული, მღვდელი ევსევი და აკაკი ხოფერია, მატრონა და გუბერნ. სეკრეტ. ანდრონიკე ტოტოს ძე მასხარაშვილები და ივლიტა ხოფერიასი** ულრმეს მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველისა—საყვარელი მეუღლე, მეორეთა—ძვირფასი მამა, მესამისა სიმამრი და უკანასკნელის მამამთილი

**აზნაური კონსტანტინე გეჟანის ძე ხოფერია.**

ტირილი და დაკრძალვა დანიშნულია 13 აპრილს ს. შხეფში. (1—1200—1)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო**
**ტელეფონი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

| | |
|---|---|
| შინაგანი ავადმყოფობანი | **ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ. |
| | **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. |
| | **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9 10. |
| | **მაღალაშვილი გ. ვ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. |
| | **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. |
| | **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. |
| | **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| სადოსტაქრო ქირურგიული | **მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½. |
| | **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. |
| | **ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1. |
| საშობიარო ქალთა სნეულებანი | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. |
| | **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. |
| | **ხულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. |
| | **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2. |
| ბავშვების ავადმყოფ. | **ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11½—12 ს. |
| | **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. |
| | **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ნერვ. სნეულ. | **გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. |
| | **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. |
| ყურ. ყელ. ცხვ. | **ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. |
| | **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3. |
| თვალის ავ. | **მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½. |
| კან. ვენ. ავ. | **მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; **„606“ წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—1010—31)

**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო**
**მიხ. გედევანიშვილისა**

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., № 20. (წ.—1022—30).

**ექიმი** ი. ი. ბერიშვილი
სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.

მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედის ქ., № 94,** საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—1178—13)

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795.
**ხუთშაბათს, 12 აპრილს,**
ქართ. მსახიობთა ამხანაგობის მიერ ტასო და ვასო აბაშიძის მონაწილეობით წარმოდგ. იქნება ცნობილი პიესა დე-კურსიელისა:
**ორი ჯიბგირი** მელოდრამა 5 მოქ. თარგ. ვ. აბაშიძისა.
მონაწილეობენ ქ-ნნი: ამირაჯიბი, ბეჟანიშვილი, ვიქტორელი, ჩერქეზიშვილი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, არადელი, აბდუშელი, გუნია, მესხი, მგალობლიშვილი, ციციშვილი, საფაროვი. **დასაწყისი საღ. 8½ ს.** ადგილებ. ფასი ჩვეულებრივია. (2.1199.1)
რეჟისორი **ვ. აბაშიძე.**

შეიძლება დაკვეთა:
**ილია ჭავჭავაძის თხზულებანი**
**ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა**

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა
**ლექსები და ბელეტრისტული ნაწარმოები,**
(აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

**ფასი 8 მანეთი,** რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან;** წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.
**ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და გ. ოცხელთან.**
**ფოთში—იონა მეუნარგიასთან.** ✦ **თელავში—თამარა აბაშიძესთან.**
**სამტრედიაში—გ. ი. სტურუასთან.** ✦ **ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.**
**სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.** ✦ **ბაქოში—ილია აგლაძესთან.**

**ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზავნის მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია.** (3—1153—3)

ტფილისი

**ყურადღება!**
თუთუნის მწეველთ ვთხოვთ,
**ყურადღება მიაქციონ**
**ახლად გამოსულ პაპიროსებს**
„ირის“,
25 ცალი 15 კ. 10 ც.—6 კ.
**საუკეთესო და კარგად გამოსულ ოსმალურ თუთუნისა,**
ნაზი სურნელება აქვს და რბილი სასიამოვნო გემო.
თამბაქ. ქარხანა
„ძმ. სეილანოვები“
ტფილისი, ალექსანდრეს ქ. № 42.
(100.1036.17)

**საფუძვლიან გადაკეთების შემდეგ გაიხსნა ახალ პატრონთა ხელში გადასული**
**კაფე-პარიზი**
ქართველ თავად-აზნაურთა სახლი, სასახლის ქუჩაზე.
**ღია იქნება ღამის 2 საათამდე**

| | | |
|---|---|---|
| 11—1 საათ. | 1—5 ს. | 5—2 ს |
| **საუზმე** — 30 კ. | **სადილი.** | **ვახშამი**—30 კ. |

**ყოველ დღე:** ღომი დოშით, საცივი, ხარჩო, და სხვა საგულისგულო საჭმელები, როგორც ევროპიული, ისე აზიური. **კერძები:** მხოლოდ წმინდა ერბოთი მზადდება ცნობილ მზარეულის მეთვალყურეობით. **ყავახანა გაფართოვებულია.** მივიღეთ ახალი **ბილიარდები გოცისა.** საჭმელებს სახლებშიაც ვაძლევთ თვიურად, დიდის შეღავათით. (თ.—113—28)

**ქუთაისში**
**ძმ. ე. და პ. სააკაშვილები.**
გვაქვს პატივი ვაუწყოთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ
**1 აპრილიდან ჩვენ გადავიტანეთ ჩვენი**
**რკინეულობის სავაჭრო პუშკინის ქუჩაზე, საკუთარ შენობაში.**
და შესამჩნევად გავაფართოვეთ იგი. მაღაზიაში იყიდება ყოველგვარი რკინეულობის მასალა საშენებლად, მაგ. კარ-ფანჯრებისა და ბუხარ-ფეჩების მოწყობილება, ლურსმანი, რკინის ნიჩბები, კირკები და სხ., სახელოსნო ხელსაწყობები, ფანჯრების მინები, მავთული, თუნუქი, „ჟესტი“, სხვა და სხვა ნაირი ემალიანი ჭურჭლეულობა; ყოველგვარი საღებავი წამალი, შპალიერი, ელექტრონის ზარების მოწყობილება, ცემენტი, ალიბასტრი და მრავალი სხვა საქონელი ჩვენი ხელობისა.
**ფასები ზომიერია.** (25 1195.6)

ქუთაისში
● ახალ ჭურჭლეულ-ავეჯეულობის მაღაზიაში ●
**ფ. ს. ფილიპპოვისა,**
ალექსანდროვ.-ქ., ზ. კოკოჩევის შენობაში, ელექტრო-თეატრი „თამარის“ გვერდით.
**საზოგადოების სურვილით**
**გრძელდება იშვიათი იაფ-ფასიანი ვაჭრობა**
**აპრილის დამლევამდე.** ფასები ნაღდზედ და შეუვაჭრებლად.
(25.1187.5) პატივისცემით **ფ. ს. ფილიპპოვი.**
ქუთაისში

**გამოვიდა და იყიდება**
ქართ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების
**წიგნის მაღაზიაში**
ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების
**სალიტერატურო კრებული**
„გრდემლი“
ფასი 1 მ. 50 კ. (თ.1098.54)

**დოქტორი მედიცინისა** ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**
**წამლობა ჭლექისა** ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**
შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, **№ 10.** ტელეფ. 792. (თ.100—1534—198)

**საბურთალოზე**
**მშვენიერ ალაგას,**
ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1147 27)

**შპალიერი**
**ძმ. ტარნოპოლთა**
**ქარხნისა.**
**ტფილისის განყოფილება.**
იმყოფება გოლოვინის პროსპ., № 21, სახ. არტისტ. საზ., **ტელეფ.** № 355.
**საწყობში** ყოველთვის ბლომად არის შპალიერი, რომელიც
**საქარხნო ფასებში იყიდება,**
თოფი 8 კაპ.-დან 6 მან.-დე. ქარხანას აქვს საწყობები რუსეთის იმპერიის ყველა დიდ ქალაქებში.
შპალიერის ნიმუშები იგზავნება უფასოდ. (50.1159.7)

**გამოცდილი**
**მასწავლებელმა**
**ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მე**[illegible] და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საბებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის.

**აგრეთვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და მიწის მზომელთა** სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო და სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინისთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

**იღებს პირობებით.** მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამო-8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

**Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1. входъ съ подъезда, нижній звонокъ, спросить учителя.**

**А съ Елизаветичской ул. д. № 38. (недалеко отъ памятн. Воронцову).** (თ. 1084.135)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**
ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.
**ე. ს. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს.
**ა. ნ. დიასამიძე** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.
**ბა. მოპოვი** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.
**შ. ა. მიქელაძე** შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.
**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით
**წამლობა „606“-ით.** (წლ.—1018—249)

**დოქტორი მედიცინისა**
**ი. ე. თიკანაძე**

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩნაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1594 143)

**ექიმი** შ. ა. მიქელაძე
იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., №

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დი. ქუჩაზე, №3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.
**პროფ. სუბბოტინი.** ქირურგ. ავად ორშ. ხუთშ. 3—4 ს. წინდაწინ ჩაწერით.
**ასპისოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.
**ბოჟოვსკი.** ორშ., ოთხშ., პარასკ.. კვირ. 4—5 საათ.
**არგუტინსკი,** შინაგ., ბავშვ. ყოველ დღე 9½ სათ. 11 ს.
**მონხე.** ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ორშაბ., ოთხშაბ., პარასკ. 1½—3 საათ.
**ნოვიცკი.** ქალთა ავადმყ., ყოველ დღე 1—2 საათ.
**კალამკაროვი.** ქალის ავად. ყოველ-დღე გარდა ხუთშაბათისა, 12—1 სათ.
**უკლადნიკოვი.** შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.
**რადელი.** შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.
**თეთრაძე.** სიფ.. ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.
**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ., სულ., ელექტროთერაპია, ყოველ-დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—1 საათ.
**ბალდინა-ნოვიცკაია.** ყელისა, ყურისა, ცხვირ. ყოველ დღ. 11—12 ს.
**რუდენკო.** შინაგ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.
**ვესელოვზოროვი** ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.
**ერმოლაევი**—ბავშვ., შინაგან.-ყ. დღ. 1-2 ს.
**ტერ-ნერსესოვი.** ქირურგ. ყოველ დღე გარდა ხუთშ. 1—1½ ს.
**იოსელიანისა** ქალთა ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.
**ბაგდოევისა,** კბილ. ყოველ დღე 3—5 ს.
**ლიმონი.** კბილ. 10—11 ს.

**კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-ს**
**საღამოს 5—7 საათამდე.**

(კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. ვ. ს. სუბბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინდაწინვე ჩაწერით. (თ. 1032—74).

**ექიმი** ვ. მუსხელიშვილი [illegible]

**ექიმი** ე. ი. მინასიანცი
შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ. სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mnthien-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067. (100—1117—137).

**ექიმი** კბილისა **არჩილ** (გიორგი) ბ-ძე **დოლიძე** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 და საღამოს 4—7 საათამდე.
რკინის გზის სამმართველოსთან, **ელისაბედის ქუჩა** № 166, (25.1179.13)

**ექიმი** ე. ვაშაკიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი —7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9—72.

**ექიმი** კბილისა და ღრძილებისა პ. ა. ქაჯაია
იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—6)

**ექიმი** პ. არდაზიანი
შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები), ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9—12. საღამოს 5—7. (25.1045.89).

**ექიმი** კბილისა ნინო რუხილაძე
მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოღაშვილი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

## ქართული პრესა

კადეტთა მეთაურის ჩამოსვლასა და მით უფრო ჩვენი თანამშრომლის ბაასს მილიუკოვთან ერთი ჯურის პრესა, რა თქმა უნდა, აღუნიშნველად არ დასტოვებდა. და აი, „ბათუმის გაზეთმაც“ დაილაპარაკა. „ბათუმის გაზეთმა“, ჩვეულებისამებრ, ტყუილებით დაიწყო.

„რაკი „ვარსკვლავთა“ ლექციებზე,—სწერს „ბათუმის გაზეთი“,—ჩვენმა ნაციონალისტებმა „იმ ერთს მიმართულების“ დეპუტატთა განქიქვა ვერ მოისმინეს და ისე კი რა შვილი გაუშვებდნენ მილიუკოვს, რომ მისი ბაგენი ხსენებული დეპუტატების „შესახურებლად“ არ აეღალადებინათ! ამიტომ გააჩაღეს ინტერვიუ, რითაც თითონაც ისარგებლეს ჩვენი წარმომადგენლების საწინააღმდეგოდ და თვით მილიუკოვსაც საშუალება „მიწასთან გასწორებინა“ ჩვენი დეპუტატები და ეჩვენებინა გზა კავკასიაში რეფორმების შემოღებისა, კავკასიის ხსნისა, რაც თურმე

იმით შეიძლება, რომ მეოთხე სათათბიროში „უსათუოდ კადეტი ავირჩიოთ“.

მოგახსენებთ „ბათუმის გაზეთს“, რომ ჩვენი დეპუტატების „განსაქიქებლად“ მილიუკოვის ინტერვიუ ჩვენთვის საჭირო არ არის. თვით „ბათუმის გაზეთსაც“—კარგად უნდა მოეხსენებოდეს, რომ ჩვენ ყოველთვის ვყოფილვართ და ვიქნებით პრინციპიალური მოწინააღმდეგენი იმ მიმართულებისა, რომელსაც ჩვენი დეპუტატები აღიარებენ. არა ერთხელ აღგვინიშნავს და შემდეგშიაც აღვნიშნავთ, რომ უარყოფითი გადაწყვეტა ეროვნულ საკითხისა ის უმთავრესი ღერძია, რომელზედაც მთელი უთანხმოება ტრიალებს. ეს უთანხმოება ჩვენსა და იმ მიმართულების შორის, რომელსაც ჩვენი დეპუტატები აღიარებენ, გუშინ არ დაბადებულა და დღეს არ მოისპობა. ერთი ფაქტიური შენიშვნაც. მილიუკოვს არც ერთხელ არ უთქვამს, უსათუოდ კადეტი აირჩიეთო. ჩვენი თანამშრომლის შეკითხვაზე,—რით უნდა აიხსნას ამიერ-კავკასიის რეფორმების შეჩერება, მარტო მთავრობის პოლიტიკით, თუ იმითაც, რომ სათათბიროს ოპოზიციონური ნაწილიც კი გულ-გრილად ეკიდება ამ საკითხებსაო, – ამაზე მილიუკოვმა უპასუხა: ერთის მიზეზითაც და მეორეთიცაო. მილიუკოვის აზრით, ჩვენი დეპუტატები ისე გულ-მხურვალედ ვერ იცავენ ადგილობრივ საკითხებს, როგორც საჭიროა. თქვენი თავი თქვენ თითონ უნდა დაიცვათ, ჩვენ შეგვიძლიან მხოლოდ მხარი დაგიჭიროთო, აი სხვანაირად გამოთქმული მილიუკოვის აზრი. ეს კიდევ იმას არა ნიშნავს, რომ საქართველოს ინტერესების დამცველი უსათუოდ კადეტი უნდა იყოს. მაგრამ „ბათუმის გაზეთმაც“ ძალიან კარგად იცის, რაცა სთქვა მილიუკოვმა. თუ სიტყვებს ამახინჯებს, მხოლოდ დემაგოგიურის მოსაზრებით. „ბათუმის გაზეთი“ გვპირდება, შემდეგ წერილში გამოვარკვევთ,

> „თუ რას შეიცავს „სახალხოელთათვის“ და სხვა ყოველ ჩვენ ნაციონალისტთა სულისა და გულის მასიამოვნებელი „განქიქვა“,

ჩვენც დავუცდით. მხოლოდ ეხლავე ვურჩევთ, „სხვა და სხვა ნაციონალისტთა“ სულის კვეთებას თავი დაანებოს, როდესაც ჩვენ გვეკამათება და ჩვენს საკუთარ სულის კვეთებაზე [illegible]-თვის, გვგონია. საიდუმლოებას არ უნდა შეადგენდეს.

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ლენის მაღაროებში მომხდარმა ამბებმა მთელი რუსეთი აალაპარაკა. სათათბიროს თითქმის ყველა ფრაქციებმა შეკითხვა შეიტანეს, პრესა ყოველის მხრით არკვევს იმ უბედურებას, რომელიც ლენის მაღაროების მუშებს დაატყდათ თავსა. კონსერვატიული „ნოვოე ვრემია“-ც კი აღშფოთებულია და მუშების დახოცვის გამო სწერს:

> „აუარებელ ქონების პატრონი ამხანგობა კარგადა ჰგრძნობდა თავის ძალას და სახელმწიფოში სახელმწიფოსა ჰქმნიდა. მან მუშები თავის ყმებად გადააქცია, კანონებს აღარავითარ ყურადღებას არ აქცევდა.. თუმცა ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარე უარჰყოფს, მაგრამ ოფიციალური დოკუმენტი მაინც ამტკიცებს, რომ საჭმელს ყოველთვის საძაგელს აძლევდნენ მუშებს, საექიმო დახმარებაც კარგად არა ყოფილა მოწყობილი. პატრონებმა პოლიციის შემწეობით მოითხოვეს, რომ მუშები სადგომებიდან გასულიყვნენ. მიყრუებულ ადგილას ამის მოთხოვნა პროვოკაციაა—არც მეტი არც ნაკლები.,. ჩვენს თვალ წინ ინგლისში, სისხლის დაუღვრელად, უდიდესი გაფიცვა მოხდა და მშვიდობიანად დასრულდა. ინგლისში საქმე უსისხლოდ იმიტომ გათავდა, რომ განათლებულ მმართველებსა და მთვრობის წარმომადგენლებს მარტო კაპიტალისტების ინტერესები არ მიაჩნიათ სახელმწიფო ინტერესებად.

თუ „ნოვოე ვრემია“-ც კი ამ კილოზე ალაპარაკდა, სხვაზე რაღა უნდა ითქვას?..

# სახელმწიფო სათათბირო

### დეპეშები

**თავმჯდომარეობს თ-დი ვოლკონსკი.**

**ეროპკინის** მოხსენებით უკამათოდ მიიღეს სახელმწიფო ხაზინის დეპარტამენტის ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც ნავარაუდევია 131.134,814 მან.

**კოვალენკო I** კითხულობს გაწერილ გადასახადთა დეპარტამენტის ხარჯსა, რომელიც ნავარაუდევია 15,443,754 მან. და საბიუჯეტო კომისიასაც შეუცვლელად დაუტოვებია.

**კუტლერი.** რუსეთის პირდაპირ გადასახადთა სისტემას ბევრი ნაკლი აქვსო. რუსეთში არამც თუ შემოსავლის დაგვარად გაწერილი გადასახადი არ არსებობს, ყველა კაპიტალზე არც კია გადასახადი გაწერილიო. მესამე სათათბიროს პირდაპირ გადასახადთა მოსაგვარებლად მესამე სათათბიროს არაფერი გაუკეთებია. სამისო პროექტები შეფერხებულიაო.

**გრაბსკი.** პოლონეთში პირდაპირ გადასახადთა გადიდება საგლეხო რეფორმამ გამოიწვია, იგი დიდი ხანია გათავებულა, მაგრამ მთავრობა მაინც იღებს ფულსაო. შემდეგ კანონს საგმინო სასამართლოს შესანახადაც გაუწერია ხალხისათვის გადასახადი. საგმინო სასამართლოები და 2 მილიონი მეტი გადაიხადა უკვე ხალხმაო.

**ფინანსთა მინისტრის თანაშემწე პოკროვსკი** უპასუხებს კუტლერს. მთავრობამ პირდაპირ გადასახადთა საქმის სარეფორმო რამდენიმე პროექტი შემოიტანაო. ამ პროექტთა განხილვის დაჩქარება სამინისტროს ვერ შეეხება. შემდეგ მინისტრი უპასუხებს გრაბსკის და აღნიშნავს: საგმინო სასამართლოს მომრიგებელ სასამართლოს სიმაღლეზე ვერ დავაყენებთო.

**გრაბსკი.** ჩვენ საგმინო სასამართლოების მთავრობის ხარჯით შენახვას კი არ მოვითხოვთ, არამედ გვსურს ხალხს იმდენი გამოართვან, რამდენიც ნამდვილად არის საჭიროო.

ხარჯთაღრიცხვა კომისიის დანასკვით მიიღეს.

**ჟუკოვსკი** კითხულობს საბიუჯეტო კომისიის დანასკვს გაუწერელ გადასახადთა მთავარ გამგეობის ხარჯთ-აღრიცხვის თაობაზე. მომხსენებელი შეეხო მოსალოდნელ რეფორმებსა და ლოთობასთან საბრძოლველად მიღებულ ზომებს.

**მამა ურაშკევიჩი.** საჭიროა, რომ ლოთობას სარწმუნოების თვალით შევხედოთ და ცოდვად ვაღიაროთ.

**შიპკინი** თითქმის საათ ნახევარს ლაპარაკობს არა პირდაპირ გადასახადთა სახელმწიფო ეკონომიაზე გავლენის გამო, საჭიროაო გადასახადების უფრო შეძლებულ კლასებზე გადატანაო, შემდეგ მოლაპარაკე შეეხო ლოთობის საკითხს და სთქვა: საჭიროა ამ საკითხის მეცნიერულად შესწავლა, მაგრამ, მესამე სათათბირომ მტკიცე ნიადაგი მოუპოვა ლოთობას რუსეთში. ბოლოს შიპკინმა აღნიშნა, საჭიროა ხალხმა პირობა ჩამოართვას მომავალ წარმომადგენლებს, რომ წინააღმდეგნი იქნებიან არყის შემოსავლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანისაო. იქ შევხვდებით ერთმანეთს და ღმერთმა ჰქმნას, თქვენს მაგივრად აქ ხალხის უფლებისათვის ნამდვილი მებრძოლნი ყოფილიყვნენო (მემარცხენეთა ტაში).

**გულკინი.** მთავრობის ბრალი არ არის ლოთობის გავრცელება. სახაზინო დუქნები რომ არ იყვეს, სულ ერთია საიდუმლოდ გაჩაღდებოდა ვაჭრობა. ამ საქმისათვის, განსაკუთრებით სამღვდელოებამ უნდა იზრუნოსო.

**ფინანსთა მინისტრის თანაშემწე ნოვიცკი** უპასუხებს შიპკინს, არა პირდაპირი გადასახადი კი არ მცირდება, თან და თან ძლიერდებაო.

სათათბირომ საბიუჯეტო კომისიის ფორმულა და ხარჯთ-აღრიცხვა მიიღო.

მიიღეს აგრეთვე კადეტების წინადადება: ხალხის ჯანმრთელობისათვის მზრუნველთა საზოგადოებას ამ დარგის მოღვაწეთა კრების მოწვევის ნება ჰქონდესო.

შემდეგ სათათბირომ მიიღო სოციალ-დემოკრატებისა და ოქტომბრისტთა გუშინდელი შეკითხვანი ლენის ამბის თაობაზე და შეუდგა შეკითხვათა არსებით მხრის განხილვას. [illegible]ლით მოითხოვს, ლენის საქმე სათათბიროს ხუთწევრიანმა კომისიამ გამოიძიოსო.

**ბელოუსოვი.** მთავრობა ვერ გაიმართლებს თავს, რადგანაც აშკარად მიემხრო ძლიერ მხარესაო. ლენის ამხანაგობის საქმეებით დაინტერესებული იყო ზოგიერთი პირი. ოღონდ აქციების ფასი დაეწიათ და შემდეგ იაფად უყიდნათ. მილიონები მოეგოთ და მუშათა დახვრეტასაც არ მოერიდნენ. ბელოუსოვი მიემხრო „შრომის ჯგუფელთა“ წინადადებას.

**ჩილიკინს** უბედურების ერთ-ერთ მიზეზად მუშათა კანონმდებლობის უქონლობა მიაჩნია.

კენჭი უყარეს და 97 ხმით 76 წინააღმდეგ უარჰყვეს სოციალ-დემოკრატების შეკითხვა და დიდის უმრავლესობით მიიღეს კადეტებისა და ოქტომბრისტთა შეკითხვა.

სათათბირომ ერთხმად მიიღო ციმბირის დეპუტატების ფორმულა.

**თავმჯდომარე** აცხადებს: „შრომის ჯგუფელთა“ ფორმულას კენჭს ვერ უყრით, რადგან კანონზე ვერ არის დავუძნებულიო.

თავმჯდომარემ აღნიშნა: სასწრაფო შეკითხვა შემოიტანეს კავკასიის ნამესტნიკისა და მიწათმოქმედობის მთავარ გამგესამდიო. იგი ამბობს, ნამესტნიკმა 1911 წლის 9 მაისის კანონის შემოღება არ მოინდომა და იმპერიის ძირითადი კანონი დაარღვიაო. ეს კანონი ეხება თევზის ჭერის საკითხსა.

დაგვიანების გამო შეკითხვას ხვალ განიხილავენ.

შემდეგი სხდომა ოთხშაბათს მოხდა.

# ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **კავკასიის ნამესტნიკი** 21 აპრილს ბალაჯარით მოსკოვს გაემგზავრება, სადაც მონაწილეობას მიიღებს იმპერატორ ალექსანდრე მესამის ძეგლის დადგმის გამო გამართულს დღესასწაულში. მოსკოვიდან ნამესტნიკი პეტერბურგს გაემგზავრება, ხოლო ავგისტოში მოსკოვში დაბრუნდება და მონაწილეობას მიიღებს სამამულიშვილო ომის 100 წლის თავის შესრულების გამო გამართულ დღესასწაულში. ტფილისში ნამესტნიკი სექტემბრის შუა რიცხვებში დაბრუნდება.

✦ **რკინის გზათა მთავარი ინსპექტორი ა. ნ. გორჩაკოვი,** რომელმაც ამიერ-კავკასიის რკინის გზა უნდა დაათვალიეროს, ტფილისში 16 აპრილს ჩამოვა. ამ ჟამად ბ-ნი გორჩაკოვი ფოთშია, სადაც მის შესახვედრად ტფილისიდან გაემგზავრნენ რკინის გზის უწყების უფროსი მოხელენი ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსის გენ.-მაიორ ფონდერ-როოპის მეთაურობით.

✦ **ტფ. გუბერნატორი ა. გ. ჩერნიავსკი და საგუბერნიო ინჟენერი კ. ი. ალბულოვი** ალბულახს გაემგზავრნენ, რათა დააჩქარონ სოფ. კოდიდან ალბულაღამდე გზა-ტკეცილის

✦ **თ. ლ. ფეხნერი,** სამოქალაქო უწყების სამკურნალო ნაწილის გამგე, ბათომიდან ტფილისს დაბრუნდა.

✦ **კავკასიის ნამესტნიკმა ნება დართო,** რათა მომავალ ივნისში ბორჯომში მოწვეულ იქმნეს კავკასიის სამოსწავლო უწყების სახალხო სკოლათა დირექტორების კრება.

✦ **ახალი გაზეთი.** გუბერნატორმა ნება დართო თავ. დ. დ. ჯორჯაძეს, გამოსცეს ტფილისში ყოველდღიური ქართული გაზეთი სახელად: „ჩვენი დრო“.

✦ **ტფილისის საკრებულოს** მამასახლისთა საბჭოს განუზრახავს საკრებულოსთვის საკუთარ შენობის ასაგებად ის ადგილი შეიძინოს, სადაც უწინ ნიკიტინის ცირკი იყო. ადგილის პატრონთან მოლაპარაკება უკვე გაუმართავს. ადგილი ზომით 563 ოთხ-კუთხი საჟენია და 197,050 მან. აფასებენ.

✦ **წვიმა და ნიაღვარი.** 10 აპრილს, ნაშუადღევს 4 საათზე, ტფილისში დიდი წვიმა მოვიდა, რომელმაც გუშინდლამდე (დილამდე) გასტანა. ქალაქში ამის გამო დიდი ნიაღვარი მოვარდა, რამაც მცხოვრებთ ბევრი ზიანი მიაყენა. ნიაღვარის გამო ჩერქეზიშვილის ქუჩაზე ტრამვაის მოძრაობა საღამოთი სრულიად შეჩერებული იყო. ნიაღვარმა სხვათა შორის, ზარალი მიაყენა შუა ბაზრის მცხოვრებთაც. მანთაშევის ქარვასლაში მოთავსებულს სარდაფში იმდენი წყალი შევარდა. რომ 12,000 მან. საქონელი (კალოშები და ტყავეულობა) გააფუჭა. საქონელი ეკუთვნოდა „მიუნხვეის“-ის ამხანაგობას.

✦ **ჯარიმები.** გუბერნატორმა 500 მან. დააჯარიმა ალექსანდრე სანკოვსკი გასაფიცად მუშების წასაქეზებლად. თუ ჯარიმას არ გადაიხდის, სამის თვით დააპატიმრებენ.

✦ **ნაძალადევისა და ლოტკის გორის მიწები,** რომელიც ქალაქის თვითმმართველობას იჯარით აქვს გაცემული, ქალაქის შემფასებელმა კომისიამ შეაფასა და როგორც სია ამ მიწებისა, ისე შეფასების ფურცელი ქალაქის გამგეობას წარუდგინა. გამგეობამ მიწების სია და შეფასების ფურცელი დაამტკიცა.

✦ გუშინ ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტებმა ქალაქის მეხუთე და მეშვიდე უბანში **ათს მეპურეს შეუდგინეს ოქმი** სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის.

✦ როგორც ამას წინად ვსწერდით, ექიმ **ვახტანგ ღამბაშიძის** თაოსნობით შესდგა ჯგუფი, რომელსაც განზრახვა აქვს გამოსცეს მხატვარ კოტე ქავთარაძის ხელით დახატული **ქართველ ტიპების დიდი ალბომი,** რომელშიაც მოთავსდება 60 სურათი. ალბომი დიდი ზომისა იქნება. დღეს რედაქციაში წარმოადგინეს ამ ალბომისათვის გამზადებული ერთი სანიმუშოდ დამზადებული ტიპი, რომელიც კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბთან არსებულ სტამბაში ფოტოტიპიურად არის დაბეჭდილი. სურათი საუცხოვოდ არის გამოსული. ამ დღეებში ზემოხსენებული ჯგუფი აპირებს ამ ალბომზე ხელის მოწერის გამოცხადებას.

### საზოგადოებანი და კრებები

✦ **საარქეოლოგიო საზოგადოების** კრება 14 აპრილს მოხდება საგეოგრაფიო საზოგადოების შენობაში.

✦ **სასულიერო სასწავლებლების მეთვალყურეთა კრება** დასრულდა და კრების მიერ გამოტანილი რეზოლუციები განსახილველად საქართველოს ექსარხოსს წარედგინა. კრებას განსახილველად ჰქონდა შემდეგი საკითხები: რამდენი და რომელი სასწავლებლები უნდა იქმნენ გადაკეთებულნი ოთხ-კლასიანის, ექვს კლასიანად, რა ხარჯის გაღება ამისთვის საჭირო, არის თუ არა სახსარი საფიზიკო კაბინეთების მოსაწყობად, [illegible] ერთ სასწავლებლის გაერთიანება და სხვა. [illegible] გამოსთქვა: შენობების გადაუკეთებლად შესაძლებელია ასეთ ცვლილების შეტანა მხოლოდ სამს სასწავლებელში, დანარჩენ შენობების გადაკეთება კი 15—100 ათას მანეთამდე ხარჯს მოითხოვს თითო. სასწავლებლებს ადგილობრივი სახსარი არა აქვთ გარდა თელავისა, რომელსაც შეუძლიან 500 მან. გაიღოს საფიზიკო კაბინეთის მოსაწყობად და სხვა...

✦ **კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების** წევრთა საერთო კრება დღეს, საღამოს 8 საათზე, მოხდება. განსახილველი საგნები: 1) 1912 წლის ხარჯთ-აღრიცხვა, 2) მიმდინარე საქმეები, 3) საზოგადოების წევრთა არჩევნები, 4) საპატიო წევრად არჩევა ნ. პ. ტარატინოვისა და 5) სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები.

### სასამართლო

✦ **„ზელიმ-ხანი“.** წარსულ წლის ნოემბერში კავკავის ვაჭარმა ი. პოზინმა მუქარის ორი წერილი მიიღო, რომელმაც მოსვენება მთლად დაუკარგა. წერილებს ხელს აწერდა.... ზელიმ-ხანი, რომელიც ვაჭარს წინადადებას აძლევდა, გიმნაზიის ქუჩაზე, სკამის ქვეშ, კონვერტით 5.000 მან. დაედო. წერილში შემდეგ მუქარა იყო. პოზინმა მაძებარ პოლიციის უფროსს მიმართა, რომელმაც ურჩია, დანიშნულ ადგილას პაკეტი დაედო, მხოლოდ ფულიანი კი არა, უბრალო ქაღალდებით სავსე, თვითონ კი ზომები მიიღო. დანიშნულ დროს „ზელიმ-ხანი“ მართლაც მოვიდა და კონვერტი აიღო, მაგრამ მაძებარ პოლიციის აგენტებმა უცებ ალყა შემოარტყეს და შეიპყრეს. ამას „ზელიმ-ხანი“, რასაკვირველია, არ მოელოდა, მით უფრო პოლიციის აგენტები არ მოელოდნენ, თუ „ზელიმხანი“ აღმოჩნდება პოლიციელი (გოროდოვოი) რუსეთ-აზიის ბანკისა—ივანე ეფიმენკო. „ზელიმხანი“ სამართალში მისცეს. მან განაცხადა, იქით შემთხვევით გავიარე და პაკეტიც შემთხვევით ავიღეო, მაგრამ არ დაუჯერეს და ოლქის სასამართლომ ეფიმენკო დამნაშავედ იცნო და ოთხის წლის კატორგა მიუსაჯა.

### სომხეთა ცხოვრება.

✦ **სომხეთა სამეურნეო და შინა მრეწველობის საზოგადოების** კრება დღეს მოხდება საზოგადოების მიმდინარე წლის მოქმედების გეგმის განსახილველად.

✦ ახლო მომავალში ტფილისში გამოვა სომხური ყოველ-კვირეული გაზეთი **„არფი“** (რიჟრაჟი) ა. ტერ-ასტვაწატურიანის რედაქტორობით.

✦ სომხეთა **კათალიკოსის** დამტკიცების გამო ბაქოს სომხის საზოგადოებამ და საზოგადო დაწესებულებებმა მისალოცი დეპეშები გაუგზავნეს კათალიკოს გევორქ მეხუთეს.

✦ სომხეთა ცნობილი არქეოლოგი **არქიმანდრიტი გარეგინ ჰოვსეფიანი** სამეცნიერო მიზნით წავა

---

# იაკობ შემოქმედელი დუმბაძე.

საქართველოს ისტორიამ იცის მრავალი თვალსაჩინო მამამთავარი. ერთი მათგანი იყო იაკობ დუმბაძე, შემოქმედის მიტროპოლიტი, გურიაში.

არა სჩანს, რომელს წელს სახელდობრ დაიბადა იაკობი, ეს კი ვიცით, რომ მას შემოქმედელობა მიუღია 1647 წელს, მაშინ, როდესაც აფხაზეთს კათალიკოზად იჯდა მაქსიმე მაჩუტაძე (1639—1657) და გურიაში კი გურიელობდა ქაიხოსრო, ხვარამზე გოშაძეს ქმარი.

პირველ დაწყებითი სწავლა იაკობმა მიიღო ტრაპეზუნტს. არც ისა სჩანს, თუ ვინ ასწავლა მას ლაზისტანის ქალაქში ქართული ანბანი. შეიძლება ვიფიქროთ, რომ იქ მაშინ იყო სკოლა კათოლიკე ბერებისა, რომელნიც რომის პაპის ლოცვა-კურთხევითა და შთაგონებით ძალიან სცდილობდნენ საქართველო რომის ტახტისთვის დაემორჩილებინათ. რომ იაკობს დიდი კავშირი ჰქონდა ამ ბერებთან, ეს სჩანს თუნდა მით, რომ იგი შემოქმედის ეპისკოპოსად კურთხევის რამდენიმე წლის შემდეგ გაემგზავრა (1687 წ.) რომს. იქ მას დიდის პატივით მიეგებენ პაპა ინოკენტი XI და მისი კარდინალები. მათ სურდათ გული მოეგოთ იაკობისთვის და თავისი ეკლესია მოეწონებინათ. მაგრამ ამაოდ. იაკობი კლდესავით მტკიცედ იდგა თავის მამა-პაპათა სარწმუნოებაზე. მხოლოდ, ბოლოს და ბოლოს ერთი დაუთმო. მათის თხოვნით წამოიყოლია შვიდი კათოლიკე ბერი და თან მოიტანა იმერეთის მეფისა და აფხაზეთის კათალიკოზისთვის გადასაცემად პაპის წერილები. მაგრამ სამშობლოში დაბრუნების შემდეგაც, დაბინავდა—რა ისევ შემოქმედს, არ მოუსვენა კათოლიკე ბერებს: „ეგოდენ ძლიერად ებრძოდა მათ, რომ სძლია ლიქნი მათი“, რის გამო ლათინთა მოძღვარნი განდევნეს იმერეთ-გურიის საზღვრებიდან.

მოხუცებისას იაკობი წავიდა ათონის მთად, მოიხილა იქაური ივერიის ლავრა, დაარსებული იოანე და თორნიკესაგან 980 წელს, და მერმე გაემგზავრა იერუსალიმს და იქ გარდაიცვალა. (ზოგი ფიქრობს, სამშობლოში დაბრუნდა და აქ აღესრულა მამიას გურიელობაში (+ 1714 წ.) ისტორიკოს პლ. იოსელიანს შემოქმედში უნახავს ღვთაების ხატი ზედწარწერით: „უცვალებელო ხატო ღუთაებისაო, იხსენ წარწყმედისაგან ყოვლად-სამღვდელო შემოქმედელი მიტროპოლიტი იაკობ დუმბაძე, რომელმან შემოგწირე მრავალფასი საოხად სულისა ჩემისა. ამინ და კირიელეისონ“.

იაკობ შემოქმედელის დროს დიდი განსაცდელი ადგა საქართველოს.

მთელი მაჰმადიანობა ალურსული მძვინვარედ მოიწევდა კოხტად შემკულ საქართველოს დასარბევად, წასახდენად, დასაპყრობად. დასავლეთს უჭირდა ოსმალთაგან, სამხრეთს სპარსთაგან, აღმოსავლეთს ლეკებისაგან და მთელს სამშობლოს კი ყველასაგან საერთოდ.

საჭირო იყო ამ დროს მეორე ბაგრატ III გამაერთიანებელი, მეორე დავით აღმაშენებელი, მეორე თამარ მეფე, მეორე გიორგი ბრწყინვალე, მეორე უდიდებულესი სარდალი და მამულიშვილი იოანე მარუშიძე... მაგრამ არ ჩნდა არც ერთი, არც მეორე, არც დანარჩენნი.

მცირე საქართველოს, გარეშემო მტერ-შემოსეულს, უჯდა სამი უნიჭო მეფე (კახეთი, ქართლი, იმერეთი), ხუთი დამოუკიდებელი მთავარი (სვანეთი, აფხაზეთი, სამეგრელო, გურია, მესხეთი), სამი ერისთავი (არაგვი, ქსანი, რაჭა), ერთი სასულთნო (საინგილო) და ერთიც საფაშო (ჭანეთი).

მაგრამ განა ეს კმარა მაშინდელ დაქუცმაცების დასასურათებლად! დახეთ რა და რაები იყვნენ ამ დროის „მარუშიძეები“.

თითქმის ყველანი იმას ცდილობდნენ, რომ წყალი უფრო ამღვრეული იყო, რომ მეტი თევზი დაეჭირათ, სამშობლო უფრო დაწეწილ-დაყოფილიყო, რომ თავისთვის მეტი მიწა, მამული და უფლება შემოეფარგლათ.

რა მწარედ სტყუვდებოდნენ ეს უბადრუკნი ჰკუით, თუმცა მკლავით, ღონით ვაშკაცნი და ძლიერნი!

მათ შეუთანხმობლობისა, უთაურობისა და გარეწრობის მიზეზით ვერც დადიანი,—რომ ჩემულობდა ჰანნიბალობას და კოლხიდის იმპერატორობას, — გახდა ჰანნიბალად, ვერც მესხეთის მჯეჭაბუკი შეიქმნა „მეფეთ მეფედ“, ვერც „ბუდა“-ს ([illegible]) ღირსა „მაღრავ—შაჰობა“. ოღონდ მათ ჯაშუშობამ, მათ მუხანათობამ დიდი, უზომო ვნება მიაყენა ქვეყანას: ქართლ კახეთს დაელუპა 230,000-მდე სული უმანკო მდაბიო ქართველი და მთელი მესხეთიც გაფაშებულ ათაბაგითურთ ძალად გაამაჰმადიანეს, რისგამო აქაც ქართველობას მოსწყდა 100,000-ზედაც მეტი სული. დაინგრა აქაური საყდრები, მოიშალა აქაური 13 საეპისკოპოსო ტაძარი, დაიწვა და გადიბუგა სამწერლო ნაშთები შოთა რუსთაველის სამშობლო ქვეყნისა.

მაჰმადიანობამ ფრთა გაშალა და მოინდომა დაემხო საქრისტიანო კულტურა საქართველოს დანაშთენ ნაწილებშიაც. მეფეები უკვე მაჰმადიანდებოდნენ. აგრეთვე შიგა და შიგ დიდკაცობაც...

მეორეს მხრივ, პაპმაც მოინდომა ესარგებლნა ქართველთა გაჭირებულ მდგომარეობით და მიეზიდნა იგინი თვისის ტახტისადმი. ლათინთა ბერებმა გააჩაღეს ქადაგება. საქართველოსა და რომ-ევროპას შორის გახშირდა მიმოსვლა, ელჩობა, მოციქულობა, მეტადრე საქართველოსა და რუსეთს შორის, რომლის მეფეებს ჩვენები მონურის თავმდაბლობით სთხოვდნენ შველას, ყმურის კილოთი აუთქვამდნენ ქვეშევრდომობას.

ამ ბედკრულ დროს სცხოვრობდა თითო-ოროლა გაგებული პირი და მათ შორის ჩვენი იაკობ შემოქმედელიც. მას ასე ამკობს კათალიკოზი ანტონი I (წყობ. სიტყვაობა, 675—677):

„იაკობ კაცი სიბრძნის მოყუარე ფრიად,
კეთილ გამომთქმელ, მეშაირე შუენიერ,
მაღალგონება, საუნჯე მრავალთ ცნობათ,
ღუთიუ მომგე მადლთა, კეთილ-მხმეველი მათი,
ყოვლიად საქებელ, მაშინდელ-აწინდელთა.
იაკობ ღირს არს ხსენებისა, ვითარმედ
ჰშურებოდა ესე სიბრძნის მოყუარებისად
ღრმად გამოსთქმიდა, ძნელთა აღსნიდა ადვილ,
კეთილსულებდა მწყემსი მოციქულებრი
იეროსალიმს დაჰბღა, დაჰშრიტა სხივნი“.

მაგრამ ამით სრულიად ვერ ხასიათდება იაკობის მოღვაწეობა. ანტონი კათალიკოზი არც კი იხსენიებს იმას, თუ რაოდენი ძალა შეალია შემოქმედელ მიტროპოლიტმა საეროვნო სარწმუნოების დაცვას, ვერც კი შენიშნა ის, რასაც უშიშდა შორსგამჭვრეტი ბრძენი მამამთავარი, სახელდობრ ერის მიერ მამაპაპათა სარწმუნოების დაკარგვას: სარწმუნოება და ეროვნება იაკობ დუმბაძის შეხედულობით განუყოფელი ერთარსება იყო, ერთის დაკარგვა მას მიაჩნდა მეორის დაკარგვადაც. სამცხე-ჯავახეთის, აჭარა-კლარჯეთის და ჭანეთის მაგალითი დღეს ცხადად გვიჩვენებს შემოქმედელის შორსმხედველობის სიმართლეს. აქ უკვე არა თუ მარტო ქართველობა გადაგვარდა, არამედ ისეთებიც გამოჩნდნენ, რომელნიც აქაურ ძველ კულტურასა და მიწა-წყალსაც კი ედავებიან ქართველებს. ნეტა სად მიიმალებოდნენ ესეთი ბეცები, თუ სამესხეთო შერჩენოდა საქართველოს თუ ივერიის დროშა დროთა უკუღმა ტრიალს არ დაეკეცა!.

დიაღ, სარწმუნოების გაჭირებული მდგომარეობა კარგად გაეთვალისწინებინა იაკობ შემოქმედელს და ამიტომ ქრისტიანეთა სახელმძღვანელოდ დასწერა შემდეგი თხზულება: „თავი დასაწყისი უსჯულოს მოჰამედისა და ქრისტიანეთ გაბასებისა ლექსად ნათქვამი **შემოქმედელის იაკობისაგან** ბრძანებითა მეფის გიორგისათა ძისა მეფის შანოზისათა“.

(დასასრული იქნება)

მ. ჯანაშვილი.

## წლიურ ხელის მომწერთა საყურადღებოდ

ხელის მოწერის პირობების თანახმად წლიურ ხელის-მომწერად ითვლება:
ვინც ხელის მოწერის დროს განაცხადებს სურვილს, რომ მთელი წლით უნდა გაზეთი და მაშინვე შემოიტანს 3 მანეთს,
და ვინც წლიურ დანარჩენ ფასს გადიხდის 1 მარტამდე 2 მ., 1 **მაისამდე 2 მ.** და დანარჩენ 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

რადგანაც **1 მაისი** ახლოვდება ვთხოვთ, ვისაც შემოსატანი აქვს შემოიტანონ 2 მან.—წინააღმდეგ შემთხვევაში დაეკარგება წლიურ ხელის მოწერის უფლება, რომლის ძალითაც პრემია **მიიღო.**

**„სახალხო გაზეთის“ კანტორა.**

ძველ-ნახიჩევანის მაზრაში, სადაც შეისწავლის სომხეთა უძველეს **„ჰრომშიან“** თავადების სასაფლაოს ნაშთებს, შემდეგ დაათვალიერებს ლორის მაზრის სოფელ დსეღში მყოფ **„მამიკონიან“** თავადთა სასაფლაოს ნაშთებს. ამ არხიმანდრიტს დასახმარებლად სტამბოლიდან მოუწვევია მხატვარი ს. თერლემეზიანი.

✦ **სტამბოლიდან** სომხურ გაზეთებს ატყობინებენ: ოსმალეთის მთავრობამ თანამდებობიდან გადააყენა სომეხ-კათოლიკეთა პატრიარქი თერზიანი, თანახმად სომეხ-კათოლიკეთა ეროვნულ კრების თხოვნისა, ვინაიდან თერზიანი არ ექვემდებარებოდა ამ კრების კანონებს.

✦ სომხის მსახიობთა **აბელიან-სირანუშის დასმა** ქ. ახალ-ნახიჩევანში გამართა იუბილე დამსახურებულ მსახიობ ქალის ზაბელისა, რომლის სასცენო მოღვაწეობის იუბილე შარშან გადახდილ იქმნა ტფილისში.

✦ **გ. სუნდუკიანცის** მემკვიდრენი აცხადებენ: განსვენებულის პიესების სცენაზე დადგმა შეუძლიან ყველას მათ დაუკითხველად, როგორც ეს ყოფილა გ. სუნდუკიანის სიცოცხლის დროს, სრულიად უფასოდ. მხოლოდ „პეპოს“ დადგმის ნებართვის უფლება ეკუთვნის კავკასიის საქველ-მოქმედო საზოგადოებას, ისიც განსვენებულის ანდერძის მთავრობის მიერ დამტკიცების შემდეგ.

✦ გაზ. **„ღარაბაღს“** სწერენ გორისიდან (ზანგეზურის სამაზრო ქალაქი): აპრილის 3-ს და 4-ს, ტათევის უძველესი მონასტერი ჟანდარმერიას და პოლიციას გაუჩხრეკია და აღმოუჩენია 22 გირვანქა თოფის წამალი.

### სიღნაღი

✦ **გაზეთი სიღნაღში.** როგორც გავიგეთ, მოკლე ხანში აქ ქართული გაზეთი გამოვა, სახელად „ხმა კახეთისა“. გაზეთის დაარსება უკისრნიათ კონსტ. იესეს-ძე ტყავაძესა და თავ. ივანე რევაზის-ძე ვაჩნაძესა (ახოს)

### ჭიათურა

✦ ჭიათურის დრამ. საზ. წლიური კრება მოხდა. განიხილეს შემდეგი საგნები:

1. მოხსენება გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა. 2. განხილვა და დამტკიცება საზოგადოების 1911 წ. ანგარიშისა. 3. არჩევნები გამგეობის წევრთა, სარევიზიო და სხვა კომისიის წევრთა.

— ჭიათურის დრამატიულმა საზოგადოებამ მიიწვია 1 სექტემბრამდე, ახალგაზდა მსახიობი ი. აპტალიდი, რომელიც ორი წელიწადი ქუთაისის თეატრში თამაშობდა.

### სოფლად

✦ **დ. ხარაგაული.** ამ სამი კვირის წინად ჟანდარმერიის განკარგულებით დააპატიმრეს ადგილობრივ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გამგე **პლატონ ლეჟავა.** დაპატიმრებული ქუთაისის საპყრობილეში გაგზავნეს. მიზეზი დაპატიმრებისა გამოურკვეველია.

**დააპატიმრეს** აგრეთვე სამსახურისა გამო ადგილობრივი **მამასახლისი** გიორგი ბუხნიკაშვილი. ერთის კვირის შემდეგ ისევ განთავისუფლეს.

✦ **ს. საგურამო.** 8 აპრილს ბერდანკით **თავი მოიკლა** ისაკა უნდილაშვილის 15 წლის გასათხოვარმა ქალმა. გომურში ჩაკეტილიყო და იქ მოეკლა თავი. მიზეზი ჯერ გამოურკვეველია.

# დეპეშები

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

**ქუთაისი.** ნამესტნიკის განკარგულებით **წმ. ნინოს სასწავლებლიდან** მისის დამლევიდან, **დათხოვნილ არიან:** სამღთო სჯულის მასწავლებელი მღვდ. მაჭარაძე და მასწავლებელი ქალები: პეტრიაშვილი, კორძაია, აბაშიძე, სუმბათაშვილი, ლოლომბერიძე. გარდა ამისა სამი მასწავლებელი ქალიც გადაჰყავთ.

## ძველი სენაკის სკოლის გარშემო.

ყველა იმ მიწევ-მოწევის შემდეგ, რამაც ასე ძლიერ შეაფერხა სკოლის შენობის განახლებისა და, საზოგადოდ, სკოლის მდგომარეობის გამორკვევის საქმე, ამ თვის 8 ძვ. სენაკში სენაკის მაზრის თ.-აზნაურთა წინამძღოლის თ-დის ივანე ელიზბარის ძე დადიანის თაოსნობით შესდგა კერძო თათბირი თავად-აზნაურთა და ზოგიერთ დაინტერესებულ პირთა. თათბირს დაესწრნენ: თავმჯდომარე სკოლის მზრუნველობისა დავით ბაქრაძე, თავმჯდომარე საადგილ-მამულო ბანკისა თ-დი მელ. ფალავა, თ-დი ნიკოლოზ დადიანი, თ-დი კოწი ფალავა, მაზრის უფროსი ბ. მანსვეტაშვილი, სკოლის გამგედ ნამყოფი ბ. სამსონ ყიფიანი, თ-დი გიორგი ჩიჩუა და მრავალი სხვა. მასწავლებელთა კორპორაციის მინდობილებით ბ. პოლ. ლორთქიფანიძემ წაიკითხა ვრცელი მოხსენება სკოლის წარსულისა და მისი მოღვაწეობის შესახებ, გაუთვალისწინა კრებას მისი დღევანდელი მდგომარეობა და დასვა რამდენიმე საკითხი სკოლის შესახებ.—კრება დიდის ხალისით და გულმოდგინებით მოეკიდა სკოლის საკითხთა გარჩევას. დასმული იყო ორი უმთავრესი საკითხი: 1) სასურველია თუ არა სკოლის არსებობა და 2) აღმოჩენა საშუალებისა სკოლის შენობის აღსადგენად და მასწავლებელთა ჯამაგირების უზრუნველსაყოფელად. პირველი საკითხის შესახებ ლაპარაკიც არ აღძრულა, ვინაიდან სკოლის არსებობა არა თუ სასურველად, ყველამ აუცილებელ საჭიროებად აღიარა. მეორე საკითხმა გამოიწვია კამათი, რადგანაც აქ ორი საკითხია შეერთებული: 1) მასწავლებელთა ჯამაგირები და 2) სკოლის შენობის განახლება. როგორც ვიცით, საადგილ-მამულო ბანკმა, რომელიც ამ სკოლას ინახავდა, უკანასკნელ წლებში მოუსპო სკოლას არსებობის წყარო და უკანასკნელიც უკიდურეს განსაცდელში ჩავარდა. სწორედ მასწავლებელთა მოთმინებით და მათ მიერ საქმის სიყვარულით აიხსნება ის, რომ სკოლა დღევანდლამდე არ დაიხურა. ჯამაგირზე დამოკიდებულ ადამიანისთვის 4—5 თვეობით უჯამაგიროდ დარჩენა არც თუ ხუმრობაა, მაგრამ დრტვინვას მათის მხრივ ადგილი არა ჰქონია იმ იმედით, რომ სადაა სკოლის მდგომარეობა საკეთილოდ გამოირკვევაო. მართლაც, ეს იმედი, ეჭვი არაა, გამართლდება ბანკის თავმჯდომარის ბ. მელქ. ფალავას განცხადების შემდეგ. მან მიუთითა კრებას რამდენიმე უეჭველ წყაროზე: 1) უკანასკნელი განკარგულების თანახმად სამეგრელოს თავ.-აზნაურობას უნდა დაუბრუნდეს მისი საგანგებო თანხა 40,000 მანეთი, აქედან, ეჭვი არაა მეოთხედი მაინც გადიდება ერთდროულად ამ სკოლისათვის, 2) უმაღლესად ნაბოძების 20,000 მანათიდან, რომლის სამი მეოთხედი უკვე თავისუფალია სტიპენდიებიდან, უეჭველად სკოლას გაუჩნდება მუდმივი საარსებო წყარო; 3) ერთი წლის შემდეგ ბანკს საშუალება ექნება ხარჯი გაიღოს გიმნაზიისა და სკოლის შესანახადაო: 4) ეცადეთ, რომ თავადმა მინგრელსკიმ სკოლას დაუმტკიცოს საზოვეთ ნაბოძები ადგილი, ამ ადგილის დაგირავებით აღმოვაჩენთ სახსარს ახლავე შევუდგეთ სკოლის შენობის განახლებასაო. სამზრუნველო თავმჯდომარემ ბ. დავით ბაქრაძემ განაცხადა, მასწავლებლებს რა ვუყოთ, თორემ საზღვევი ფულიდან დაგვრჩა ორი ათას მანეთამდე და ამ ფულით ხვალიდანვე შეიძლებოდა შენობის განახლებას შევდგომოდითო. სკოლის გამგემ ბ. დომ. ოყრეშიძემ აღნიშნა მასწავლებელთა მუყაითობა და სიყვარული საქმისადმი და განაცხადა: ჩვენ თუ დღემდის მოგვითმენია, კიდევ მოვითმენთ, ოღონდ შენობის განახლებას დაუყონებლივ შევუდგეთო. ეს განცხადება მადლობით მიიღეს. ბ. სამსონ ყიფიანმა განაცხადა: თ-დმა მინგრელსკიმ გვიწყალობა საზოვე ადგილი და ერთ დროულად 2,000 მანეთამდე—გვპირდებოდა სკოლის სამუდამოდ უზრუნველსაყოფად და რომ დასცლოდა, კიდეც შეასრულებდაო. მივმართოთ მის მემკვიდრეს უგანათლებულესს თ-დს მინგრელსკის და ეჭვი არაა ერთდროულად დიდს და საგრძნობელ დახმარებას აღმოუჩენს სკოლასო. ამ განცხადების შემდეგ კრებამ ერთხმად საჭიროდ აღიარა თ-დ მინგრელსკისთან დეპუტაციის გაგზავნა.

კრებამ მიიღო შემდეგი დადგენილება: დაუყონებლივ შეუდგეთ სკოლის შენობის განახლებას, ამისთვის არჩეულ იქმნა საამშენებლო კომისია, რომელშიაც შედიან: თავადი გიორგი კონსტანტინეს ძე ჩიჩუა, აზ-რი გიორგი ლევ. ქავთარაძე, სკოლის გამგე დ. ოყრეშიძე, პოლიკარპე ლორთქიფანიძე და რაჟდენ გამსახურდია. კომისიას მინდო—მოითხოვოს სკოლის სამზრუნველოსაგან საზღვევი პრემიიდან დარჩენილი თანხა; 2) უგან. თ-დ მინგრელსკისადმი დეპუტაციაში არჩეულ იქმნენ: თ-დი ივანე დადიანი, თ-დი მელიქსედეკ ფალავა, სამსონ ყიფიანი, სკოლის სამზრუნველოს წევრი დავით არჩილის ძე ლორთქიფანიძე, აზ-რი გიორგი ლევ. ქავთარაძე, ბესარიონ ხოფერია, ირაკლი თოფურიძე და სკოლის გამგე; 3) თათბირმა სურვილი გამოსთქვა — მაზრის თ-აზნაურთა კრებამ იშუამდგომლოს გუბერნიის თავად-აზნაურთა კრების წინაშე, რათა ამ უკანასკნელმა სამეგრელოს თავად-აზნაურთა საგანგებო თანხიდან (40,000 მან.) სკოლისათვის ერთდროულად გადიდვას 10,000 მანეთი.

4) იმავე საგუბერნიო კრებამ დაუნიშნოს სკოლას ყოველწლიურად უმაღლესად ნაბოძები 20,000 მანეთიდან საჭირო თანხა.

კრება მოხდა ბ. გიორგი ლევ. ქავთარაძის სახლში. საამშენებლო კომისია ამ დღეებშივე შეუდგება საქმეს.

**დამსწრეთაგანი.**

## მოლოდება

(ქუთაისისა და მის მაზრის პირველდაწყებით სკოლების მასწავლებელთა მიმართ.)

მესამე წელიწადია, რაც ქუთაისში დაარსდა ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილება, რომლის მიზანია სახალხო წიგნთსაცავ-სამკითხველოების გახსნა, საყმაწვილო და სახალხო სამეცნიერო წიგნების გამოცემა და გავრცელება ხალხში, მიყრუებულ ადგილებში სკოლების გახსნა და სხვა... ყველა ამათთვის საჭიროა საშუალების გაძლიერება და ეს შესაძლებელია მაშინ, როდესაც წევრთა რიცხვი ბლომად ეყოლება საზოგადოების განყოფილებას.

ამა წლის ოთხ მარტს განყოფილების გამგეობამ მოიწვია დამხმარე აგენტები თითოეულ წრიდან და დაწესებულებიდან ორ-ორი კაცი იმ საკითხის გამოსარკვევად, თუ რა და რა ზომებია საჭირო გამგეობის ნაყოფიერ მოქმედებისათვის და განყოფილების ნივთიერად გაძლიერებისათვის. ორიოდე საათის კამათის შემდეგ დაადგინეს: არჩეულ იქმნას თითო აგენტი ყოველ წრიდან, რომელთაც ჩაჰბარდეს საწევრო წიგნაკები და დაევალოს მათ გასწიონ აგიტაცია თავის წრეში და მიიღონ ზომები წევრთა რიცხვის გასამრავლებლად. სახალხო მასწავლებელთა წრიდან ამომირჩიეს მე და ჩამაბარეს საჭირო წიგნაკები. ამის გამო მოგმართავთ ყველა ამხანაგებს განურჩევლად სქესისა და გთხოვთ ამა აპრილის თვიდან ჩაეწეროთ ჩემთან წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების წევრად; საწევრო ფული წლიურად სამი მანეთია, რომლის გადახდა შეიძლება ათ შაურობით; როდესაც შესრულდება სამი მანეთი, წევრი მიიღებს ჩემგან კანონიერ კვიტანციას განყოფილე'ის ბეჭდით შემოწმებულს. საწევრო ფული და წევრთა სახელი და გვარი გადაეცემა განყოფილების გამგეობას, რომელიც სიას დაბეჭდავს თავის დროზე ანგარიშში. წევრები მოწვეულ იქნებიან გადამწყვეტ ხმის უფლებით საზოგადო კრებებზე.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ **სახალხო მასწავლებლები,** რომელთაც ვალად ადევსთ ბავშვის აღზრდის გარდა ხალხის განათლებისათვის და კეთილდღეოსათვის ზრუნვა, გამოიმეტებენ ერთ კაპიკს დღეში და თანაუგრძნობენ ასეთ განმანათლებელ ეროვნულ დაწესებულებას, არა თუ საზოგადოდ მასწავლებელი, არამედ ყოველი ქართველი, რომელ პროფესიასაც უნდა ეკუთნოდეს იგი, ზნეობრივად ვალდებულია ითვლებოდეს **ამ საზოგადოების** წევრად და თავისი წვლილი უნდა შეჰქონდეს სამშობლო ქვეყნის ასაღორძინებლად. ქუთაისის მასწავლებლებს მე თითონ ვინახულებ, გარეშეებს კი შეუძლიანთ, თუ ისურვებენ წევრობას, მომმართონ შემდეგის მისამართით: Кутаисъ. 3-е городское начальное училище, ვთხოვ გაზ. „თემს“ და ჟურნალ „განათლებას“ გადაბეჭდონ ეს წერილი.

**ლადო ბზვანელი.**

## ალექსანდრე გერცენის დაბადებიდან ასი წლის შესრულების დღესასწაული.

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

ქ. ნიცაში კუნძულივით განმარტოებულ და კიპაროსის ხეებით დამშვენებულ მაღალ სერზე, რომელიც ამაყად დაჰყურებს ერთის მხრით ნიცას და მეორეთი ხმელთა შუა ზღვას, გაშენებულია მდიდარი ძეგლებითა და ეკვდარებით შემკობილი სასაფლაო.

ამ სასაფლაოს ერთ კუთხეში განმარტოებულ მარმარილოს კვარცხლბეკზე სდგას ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული მთელი ტანის ქანდაკება, რომელიც ხელებდამლილიავებული, რუსულად უკან თმა გადავარცხნილი, წარბებ შეკრული, შორს წასული ფიქრებში, გაჰყურებს ხმელთა შუა ზღვის თვალგადაუწვდენელ სივრცეს. ეს ძეგლი ეკუთნის ალექსანდრე გერცენს.

აღდგომას, ოცდა ხუთ მარტს, სამ საათზე ამ ძეგლთან შეიკრიბა გერცენის პატივისმცემელი სამასამდე ქალი და კაცი. ძეგლი მრავალი ყვავილებითა და გვირგვინებით შეამკეს. სხვათა შორის გვირგვინი მიართვეს აქაურმა ქართველებმაც. ამ გვირგვინის ლენტს ამშვენებდა შემდეგი წარწერა: „მსოფლიო მოქალაქეს ალექსანდრე გერცენს ქართველებისაგან“.

ჩვეულებრივი მისალმების შემდეგ მრავალი სიტყვა იქმნა წარმოთქმული სხვა და სხვა ერების თუ პარტიების წარმომადგენელთა მიერ. გიორგი პლეხანოვმა და ჩერნოვმა მოკლედ დაახასიათეს გერცენის მრავალმხროვანი მოღვაწეობა. ქართველთაგან მიხეილ თუმანიშვილმა სადა, მოკლე და მგრძნობიარედ წარმოთქმულ სიტყვით კარგი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე.

სიტყვების შემდეგ მიტინგის თავმჯდომარე მიხეილ თუმანიშვილმა წაიკითხა თანაგრძნობის წერილები და დეპეშები, რომელიც სხვა და სხვა პირთა თუ დაწესებულებათაგან დღესასწაულის გამართველ კომიტეტს მიეღო. მიტინგი დაიშალა ექვს საათზე.

საღამოს გიორგი პლეხანოვმა გერცენის შესახებ წაიკითხა რეფერატი, რომელსაც დიდი ძალი ხალხი დაესწრო. რეფერატს მოჰყვა ბანკეტი, სადაც საბოლოოდ გადაწყდა, რაც შეიძლება მალე, დაარსდეს გერცენის სახელობის რუსული ბიბლიოთეკა სამკითხველო.

**ნიცა** X.

## მიმოსვლა თელავ-ტფილისის შუა

მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში ვიმყოფებით თელავის და კახეთის მცხოვრებნი უგზოობის გამო. ტფილისს მოწყვეტილი, საზოგადო ცხოვრების მაჯის ცემას დაშორებული, გადაკარგულად გრძნობს კაცი თავს და თუ საჭირო საქმე არა, ვინ გაბედავს ტფილისისაკენ გამგზავრებას და თუ მოუხდა, თავ-ბედი უნდა იწყევლოს, დილა-ადრიან საღამომდის ერთ ადგილას დახუთული ჯდომით და ნჯღრევით შეწუხებული, მოუთმენლად უნდა ნატრობდეს ადგილას მისვლას.

არც ისეთი გრძელი გზაა—სულ 95 ვერსია და კარგი ცხენები რომ ჰყავდეთ ბევრად გაადვილდებოდა მგზავრობა, მაგრამ ეხლა ისეთი ცხენები ჰყავთ, რომ ვაივაგლახით ძლივს მიათრევენ ომნიბუსს. აღმართზე ასვლა უჭირდებათ ხოლო დაღმართზე ძლივს იკავებენ ომნიბუსს და მგზავრსაც სული კბილით უჭირავს, რომ გომბორის კლდეღრეში არსად გადაიჩეხოს. ამასთან ცხენები საკმარისი არ უნდა ჰყავდეთ, ზოგიერთ სადგურზე სრულებით არ გამოუცვლიათ თუმცა მხოლოდ ორი ომნიბუსი იყო (23 მარტს).

ამ ბოლო დროს ავტომობილების მიმოსვლა თითქმის ყველა მიყრუებულ პროვინციაში მოეწყო და თელავს-კი არაფერი ეშველა, თუმცა, როგორც გაზეთებიდან ვიცით, ნებართვას ბევრი იღებს. ან იქნება ის აშინებთ, რომ თურდოს ხევი გაუვალი იქნება მისთვის. ეს შეცდარი აზრია, ჯერ ერთი თურდომ (თელავიდან 10—12 ვერსზე იქნება). ადიდება მარტო მაისში იცის, ისიც დიდი წვიმების დროს, და. სხვა დროსკი საწისქვილე წყალი მოდის და არაფერს დაუშლის და არც უშლის, ვინაიდან კერძო ავტომობილები ხშირად მოდიან და იმავე დღესვე ბრუნდებიან, არა თუ დარში, ავდარშიაც-კი.

ეს გარემოება ნათლად ჰმოწმობს, რომ ავტომობილების მიმოსვლას თელავ-ტფილისს შორის არც ისეთი დაბრკოლება ექნება, როგორც ზოგსა ჰგონია. თუ მაინცა და მაინც თურდო, ან გომბორის მთაგრეხილი უძლეველია, მაშინ გომბორამდე უნდა მოეწყოს [illegible] ისევ ომნიბუსები ივლიან. ეს ძლიერ ხელსაყრელი [illegible] მხრივ, რადგანაც მგზავრები არას დროს არ მოაკლდებიან.

**დავიწყებული.**

## ბრძოლა დარდანელში და რუსეთი

როგორც დეპეშებიდან გაიგებდა მკითხველი, იტალიამ ბრძოლის ასპარეზი დარდანელში გადაიტანა. ეს კი ფრიად უხერხულ მდგომარეობაში აყენებს რუსეთს. რუსული გაზეთებს შავი ზღვის ნაპირას ქალაქებიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ დარდანელის დაკეტვამ რუსეთის ვაჭრობა უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა. ადესაში ნავთ-სადგურის უცხოეთის ნაწილზე აუარებელი საქონელი მოგროვებულა, გემები ზღვაში ველარ გადიან. ასეთივე ცნობები მოდის თეოდორიიდან, მარიუპოლიდან და ნოვოროსიისკიდან.

მიუხედავად ამისა, როგორც „რუსკოე სლოვო“ გადმოგვცემს, რუსეთის გარეშე საქმეთა სამინისტროში განუცხადებიათ, შავი ზღვის ესკადრა არას გზით ბოსფორში არ წავაო. რუსის ერთს დიპლომატს უთქვამს, რუსის მთავრობა იმ აზრისაა, რომ მებრძოლ სახელმწიფოს შეუძლიან ისეთი ზომები მიიღოს, რომელნიც მისთვის სასარგებლოა მიზნის მისაღწევადაო. მაგრამ ოსმალეთმა დარდანელის გასავალი შეჰკრა. აქ კი უნდა გამოირკვეს, დროებითი ზომაა ეს, თუ ოსმალეთს აზრადა აქვს გასავალი სამუდამოდ შეჰკრას.

დარდანელის ბრძოლის გამო კვლავ დაიბადა ხმები, რომ იტალია რუსეთთან შეთანხმებით მოქმედებს. ასე ჰფიქრობენ ბერლინში. პარიზიდან კი იტყობინებიან, საფრანგეთისა და რუსეთის მთავრობას აზრადა აქვთ ერთად განაცხადონ პროტესტი დარდანელის გასავალის შეკვრის გამოო.

ლონდონიდან „რუსკოე სლოვო“-ს დეპეშით ატყობინებენ: „ბევრი ელის, რომ რუსეთი აქტიურად გამოვა ბოსფორსა და ამიერ-კავკასიაში, რათა ოსმალეთის ჯარი ჩრდილოეთისაკენ მიიზიდოსო.

ბერლინის ნაციონალისტური პრესა აღნიშნავს, დარდანელის ბრძოლა მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ იტალია და რუსეთი თანხმობით მოქმედებენო. ბერლინში მისულ ცნობებით, რუსეთს აზრადა აქვს ბოსფორში მშვიდობიანი დემონსტრაცია მოახდინოს და ამით ოსმალეთი აიძულოს ზავი ჩამოაგდოსო.

## „ტიტანიკის“ დაღუპვა

ლონდონში მიუღიათ დაწვრილებითი ცნობები გემის „ტიტანიკის“ დაღუპვისა.

„ტიტანიკი“ საათში 25 ვერსს სისწრაფით მისცურავდა. უცებ საშინელის ძლიერებით გემი ყინულის გორას დასჯახებია. ყინულის ნამსხვრევები ბაქანზე გადაცვივნულა და კინაღამ გადაუბრუნებია გემი.

ამ შეჯახებას მთლად დაუზიანებია გემი და მისი ქვეითა ნაწილი წყლით გავსებულა, დამსხვრეულა აგრეთვე ბევრი ნავი.

რაც ნავები გადარჩენილა, ბავშვები და ქალები ჩაუსხავთ და ყველანი გემს „კარპატიას“ გადაურჩენია.

სხვა გემებმა „ტიტანიკს“ რომ მიეშველნენ, ველარაფერი გაარიგეს ამაოდ დაეძებდნენ ყინულთა ნამსხვრევებში დაღუპულებს.

უბედურების მოხდენამდე თითქმის ყველა მგზავრს, თურმე, ეძინა თავის ოთახში.

გემი ყინულს ისეთის ძლიერებით დასჯახებია, რომ ზოგი მგზავრი ძალიან დაუშავებია და ველარც კი ამდგარა.

გემის ზოგიერთ ნაწილში წყალი შევარდნილა და მგზავრებისათვის ბაქანზე ასვლა გაუძნელებია.

ამბობენ, ზოგი მგზავრი წყალში გადახტა და ცოტა ხანს გასძლო კიდეც ცურაობითაო.

ხმა გავარდა უბედურების ღამეს ზღვაზე ნისლი იდგა და შეუძლებელი იყო მგზავრთათვის დახმარებაო.

ზოგიერთი ნავი გადაბრუნებულა და მგზავრები დაღუპულან, რადგან ბევრნი ჩამსხდარიყვნენ და ერთმანეთს ებრძოდნენ ადგილისათვის გემებს დროზე ვერ შეუტყვიათ უბედურების ამბავი და ამიტომ ვერც მიჰშველებიან დროზე.

ამბობენ, როდესაც ბაქანზე ჩოჩქოლი ასტყდა, ყველამ გაიგო, უბედურება მოგველისო, მილიონერები თურმე ეხვეწებოდნენ ხალხსა, რამდენსაც გინდათ მოგცემთ, ოღონდ ნავში ჩაგვსვით, ადგილი დაგვითმეთო. ადგილების გამო ჩხუბობდნენ, ერთმანეთს თავ-პირს ამტვრევდნენ, წყალში ისროდნენ ერთმანეთს.

„ნიუ-იორკ-ჰერალდის“ სიტყვით, უბედურების ამბავს შეუძრწუნებია მთელი ხალხი და მგლოვიარედ არიან.

გაზეთების რედაქციებსა და გემთა ამხანაგობის ბიუროში ერთი უბედურება ტრიალებს; წივილ-კივილი, ვაი და ვიში გაისმის დაღუპულთა ნათესავებისა.

ეკლესიებიც სავსეა თურმე მლოცველებითა.

ამერიკის გაზეთებმა ყველაფერი საგემო ამხანაგობასა და მის ადმინისტრაციას დააბრალა, დროზე ვერ მიგიღიათ საჭირო ზომებიო.

საფრანგეთის გაზეთები უბედურებას ძლიერად შეუშფოთებია და მოითხოვენ, ისეთი კანონი უნდა შემოვიღოთ, რის ძალითაც გემს ნება არ უნდა ჰქონდეს ზღვაზე გასვლისა, თუ საკმაო რიცხვი მისაშველებელ ნავებისა არ ექნებაო.

ამბობენ, „ტიტანიკი“ ოთხ საათში დაიძირა და საკმაოდ ნავები რომ ყოფილიყო, ყველა მგზავრის გადარჩენა შეიძლებოდაო.

გარდა ამისა, „ტიტანიკი“ დაუღუპნია ამ ბოლო დროებში გავრცელებულ ჩვეულებას: გემთა ამხანაგობანი სცდილობენ თურმე, რაც შეიძლება სწრაფად იარონ და ყურადღებას არ აქცევენ მგზავრთა უზრუნველყოფასაო.

## ოსმალეთ-იტალიის ომი

### დეპეშები

**ქაირი.** ქედივის პატარა გემი, რომელიც როდოსს ახლო იტალიელებმა დაატყვევეს, ისევ გაანთავისუფლეს, როცა საბუთები წარუდგინა, ეგვიპტეს ვეკუთვნიო.

**ბენგაზი.** იტალიის ოთხ დიდ გაზეთის კორესპონდენტი განდევნეს, რადგან ზვერვის დროს, სიმაგრეს გასცილებიან.

**სტამბოლი.** ოსმალეთი სახელმწიფოებს შესარიგებელ ნოტის გამო 10 აპრილს უპასუხებს.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ცნობა მიიღო, იტალიის მთელი ფლოტი როდოსის ახლოაო.

„ოტომანის სააგენტო“ იუწყება: 9 აპრილს დარდანელის წყლებში ჩაწყობილ ნაღმების პოვნას მოუნდნენ. დარდანელის გზას ორ-სამ დღეში გახსნიან.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. დარდანელის გზის შეკვრის გამო შეკითხვა შეიტანეს. სტატს-სეკრეტრის თანაშემწე ოკლენდმა უპასუხა: თუმცა ინგლისის მთავრობამ ოსმალეთს აუწყა, რომ ნება აქვს თავის დაცვისათვის ზომები მიიღოს, მაგრამ დასძინა, იმედია ჩქარა გახსნით დარდანელის გზას, რადგანაც ვაჭრობა დიდად ზარალობს სრუტეს გზის შეკვრითაო. უეჭველია, ოსმალეთი ყურადღებას მიაქცევს ამ საკითხსა, თუმცა ეხლა გარკვეულ პასუხის მოცემა ვერ შეუძლიანო.

**სტამბოლი.** დარდანელის გზის გახსნას უცდის ხორბლით დატვირთული 90 გემი.

**რომი.** „სტეფანის სააგენტო“ იუწყება: ადმირალმა პრესბიტერომ კუნძული სტამბოლი აიღო და ბინად მიიჩნიაო. ამ კუნძულს, თურმე ძალიან კარგი მდებარეობა და კარგი ნავთსადგურები ჰქონია და აქედან შეიძლება კონტრაბანდის ზიდვასაც ხელი შეუშალონო.

**სტამბოლი.** გარეშე საქმეთა სამინისტრომ გამოაცხადა: ოსმალეთმა სახელმწიფოებს უკვე გასცა პასუხი შესარიგებელ პირობათა გამოო.

**რომი.** ქაირიდან „სტეფანის სააგენტოს“ ატყობინებენ: ჭრილობისაგან გამოწვეულ ანთებით გარდაიცვალა ენვერ-ბეიო.

**ბერლინი.** ხმა დავარდა, დარდანელის გზას სამ დღეს უკან გახსნიანო.

# ჩინეთის რესპუბლიკა

დეპეშები

**კაშგარი.** სინძიანის გუბერნატორს კაშგარის დაოტისათვის არაფერი უბრძანებია, მაგრამ იუანშიკაის ბრძანებით მაინც განკარგულება გამოსცა, თმა მოიკრიჭეთ და ახალი კალენდარი შემოიღეთო. მოხელენი დაემორჩილნენ ბრძანებას, მაგრამ ჯარის უფროსნი და აფიცრები კი ურუმციდან მოელიან ბრძანებას და ჯერ კიდევ ყოყმანობენ.

# არეულობა სპარსეთში

დეპეშები

**თავრიზი.** არდებილის ოლქის სადოხლის მიდამოდან ღამაფიქრებელი ამბავი მოდის. იქ ანარქია გამეფებულა. ეშინიათ, ვაი თუ რუსეთის საზღვართანაც არეულობა დაიწყოსო. ზოგიერთ ვაჭარს არდებილიდან ცნობა მოჰსვლია, საქონელს ველარა ვგზავნითო.

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

### საზღვარ-გარედ.

11 აპრილი.

**„ტიტანიკის“ გამო**

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. ვაჭრობის სტატს-სეკრეტარმა განაცხადა: „ტიტანიკის“ დაღუპვის მიზეზთა გამოძიება ლორდ მორსეის მივანდეთო.

ვაჭრობის მინისტრმა განაცხადა: ზომები მივიღეთ ყველა გემზე საკმაო რიცხვი იყოს მისაშველებელ ნავებისა, თუმცა ეხლავე ნავების საჭირო რიცხვის შოვნა გაძნელდებაო.

**გაფიცვა.**

**ნიუ-იორკი.** მემანქანეთა კავშირის თავმჯდომარემ განაცხადა: 16 აპრილს რკინის გზაზე 50 ლიანდაგზე 34 ათასი მოსამსახურე გაიფიცება, რომელიც ჩრდილოეთ ამერიკის მიმოსვლის 53 პროცენტს განაგებსო. მთავრობამ გაფიცვის თავიდან ასაცილებლად შუამავლობა იკისრა.

**ხორვატელთა დეპეშა.**

**ზაგრები.** ხორვატელთა სტუდენტებმა ბელგრადიდან ხორვატელთა ორგანოს „ობზორს“ დეპეშით აცნობეს: სიცრუეა გაზეთების ცნობა, ვითომც გვეყვირნოს: გაუმარჯოს სამხრეთის სლავიანთა მეფესაო.

### რუსეთი

**იუშჩინსკის მოკვლის საქმე.**

**კიევი.** 17 მაისისათვის განსაზღვრულად დანიშნული საქმე იუშჩინსკის მოკვლისა შემოდგომისათვის გადასდეს.

**გემის დაღუპვა.**

**ოდესა.** არკადიას ახლო, ზღვის ღელვის დროს დაიძირა ხერსონიდან მონავალი იალქნიანი გემი. პატრონი დაიღუპა. ორი მეზღვაური გადარჩა.

**მინისტრთა საბჭოში.**

**პეტერბურგი.** მინისტრთა საბჭომ უარჰყო სათათბიროს 30 წევრის წინადადება, ქალებსაც მიეცეთ უფლება სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობისაო,

**სიკვდილის განაჩენი.**

**მოსკოვი.** სამხედრო-საველე სასამართლომ ოცი წლის ნოქარს კუჩინს, რომელიც ჩიჩკინის სარძევეში მსახურებდა, სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა. სასამართლომ განაჩენის შესამსუბუქებლად შუამდგომლობა აღძრა.

**რონიკერის საქმე.**

**ვარშავა.** დამნაშავემ ბრალმდებელს უპასუხა: ქალის შესახვედრად ოთახს ვეძებდი, მისი მონახვა ცოლის ძმას ხრჟანოვსკის დავავალე და ფული მივეცი, დაქირავებული ოთახი ბრალდებულს არ მოსწონებია და ხრჟანოვსკის იგი თავისათვის დაუტოვებია.

ზავადსკიმ განაცხადა, ვიღაც უცნობმა ქალმა დაიქირავა ოთახი მემამულის ხრჟანოვსკისათვის, პირველად თითონ მოგვცა ფული, მეორედ ფოსტით გამოგზავნაო. მოკლულის ამხანაგებმა რონიკერი ვერ იცნეს.

**„ზვეზდას“ დაჭერა.**

**პეტერბურგი.** გაზეთ „ზვეზდას“ 10 აპრილის ნომერი დაიჭირეს. რედაქტორი სამართალში მისცეს 128 და 129 მუხლის პირველ პუნქტის ძალით.

# ღია წერილი.

**ბატონ სიმ. ავალიანს**

„სახალხო გაზეთის № 567. ფელეტონში“, დიმიტრი ყიფიანი და ბატონ-ყმობის გაუქმება ტფილისის—გუბერნიაში“, სხვათა შორის სწერთ, რომ დიმიტრი ყიფიანის მიერ თავად-აზნაურთაგან მიღებულ წერილებს ვეძებ და ვერსად ვერ ვიპოვე, ისინი არ აღმოჩნდნენ არც მეფის მოადგილის კანცელარიის არქივში, არც ტფილისის სათავად-აზნაურო საკრებულოს არქივში. შეიძლება ისინი დარჩა დიმ. ყ—ნის ქაღალდებში. **მივმართე დ. ყ.ნის მემკვიდრეებს, რათა ნება მოეცათ ჩემთვის ქაღალდების გადათვალიერებისა, მაგრამ ამაო იყოვო.**

ამ უკანასკნელმა სტრიქონებმა მეტის-მეტად გამაოცა და აი ამის შესახებ მინდა შეგეკითხოთ: ნუ თუ დაგავიწყდათ, ბატონო, ჩვენი ლაპარაკი, რომელიც მე და თქვენს შორის ჩვენი თეატრის ფოიეში მოხდა, როდესაც თქვენ სწორედ ამ ფელეტონში მოხსენებულ საჭირო ცნობების გამო გამეცანით, როგორც დიმიტრი ყიფიანის ოჯახის წევრს და კარგა ხნის ლაპარაკის შემდეგ ამის თაობაზე—პირობა დავსდეთ, რომ თქვენ ამოხვიდოდით ჩვენთან, ს. ქვიშხეთში და გადაათვალიერებდით დიმიტრი ყიფიანის ქაღალდებს?

ეს ჩვენი ლაპარაკი შემდეგ ჩემს ქმარს, კოტე ყიფიანს გადავეცი და თითონ ჩვენც ვიყავით გაკვირვებულნი, როდესაც დაპირებულ დროს არ მოხვედით და არც შეგვატყობინეთ-რა.

ძნელი დასაჯერებელია, რომ თქვენ ეს ფაქტი დავიწყებული გქონდეთ და რამ გაიძულათ ასეთი უსაფუძვლო საყვედური დიმიტრი ყიფიანის მემკვიდრეთ — მიმართ რომ მათ „ამაოდ“ მიჰმართეთ თხოვნით—სწორედ გაუგებარია და უეჭველია აგვიხსნით.

დიმიტრი ყიფიანის ვრცელი ბიოგრაფიის შედგენა თვით მისი მახლობლებისთვის ისეთი სანატრელი საგანია, რომ თითონ არ დაიშურებენ არავითარ ძალ-ღონეს, რომ სადაც კი არის, ყველგან მოსძებნონ) შეჰკრიბონ ერთად მის შესახებ ყოველი ცნობები და განა შესაძლებელია, რომ თვით მის სახლში, მის ქაღალდებში მოიპოვებოდეს რამე და ეს მემკვიდრეებმა იმის ბიოგრაფიის დაწერის მსურველს არ მიაშველონ?!

თუ კარგად გაიხსენებთ ჩვენს ლაპარაკს, მე გთხოვეთ კიდეც, რომ, როდესაც ბატონ-ყმობის შესახებ მის შრომას ათვალიერებდეთ, თუ რამე შეგხვდეთ მისი მიწერ-მოწერისა სხვა რაიმე საგნის შესახებაც, ნუ დაიზარებთ და ისიც ამოსწერეთ, რადგანაც მისი ბიოგრაფიისთვის იქნება—მეთქი—საჭირო. იქნება ეს თქვენ თითონაც გედოთ გულში, მაგრამ მე მოგახსენებთ იმას, რაც მაშინ ჩვენ შორის იყო ნათქვამი. აი ეხლაც, კიდევ ჩვენი პასუხი. როდესაც კი გნებავთ, მობძანდით ჩვენთან ს. ქვიშხეთში და გადაათვალიერეთ დიმიტრი ყიფიანის ის ხელთ-ნაწერები და დოკუმენტები, რომელნიც კი ჩვენს ხელთ არის.

**ნინო ბეჟანის ასული ყიფიანისა.**

# თეატრი და ხელოვნება

**ჭიათურა.** კვირას 8 აპრილს, ჩვენმა დრამატიულმა დასმა დასდგა ჰაერმანის 4 მოქმედებიანი დრამა: **„იმედის დაღუპვა“.**

საზოგადოდ, წარმოდგენამ იმედი ვერ გაგვიმართლა, მაგრამ მაინც ანსამბლიანი იყო.

# წერილი რედ. მიმართ

„სახალხო გაზეთის“ მე-566 ნომერში მოთავსებული იყო კორესპონდენცია „კნოლელ ტოროლასი“, სადაც საქმის ვითარება სისწორით არ არის გადმოცემული.

ფალავანდიშვილების ტყე-საძოვარში მაისურაძეებს საქონელი შეერეკნათ, ფალავანდიშვილების კანტორის ნებადაურთველად. კანტორის მმართველმა და მისმა თანაშემწემ ეს საქონელი წვრილიანიდან გამოირეკეს თავიანთ ბაკისაკენ. არც ერთ მაისურაძისათვის ხელი არავის უხლია. ეს საქმე ეცნობა გორის მაზრის უფროსს. ადგილობრივ მოვიდა მაზრის უფროსის თანაშემწე, რომელმაც ეს საქმე გამოიძია და დაადასტურა ის, რასაც მე მოგახსენებთ.

კნოლეველ ტოროლას ცნობა კი სიმართლეს მოკლებულია.

**გ. ფალავანდიშვილი.**

უმორჩილესად გთხოვთ ეს ცნობა მოათავსოთ თქვენს გაზეთში **კოკანდის ქართველთა საყურადღებოდ.**

შარშან ნოემბერში ქ. შ. წ. კ. საზოგადოების გამგეობამ მიიღო ილია წერეთლისაგან კოკანდში შეგროვილი 53 მანეთი ილია ჭავჭავაძის ძეგლისათვის. სია. შემომწირველთა: ექიმმა გ. მ—ნმა, ილია ჯოხაძემ და პავლე ცივციაძემ ხუთ-ხუთი მანეთი; ექიმმა ქაჩხოევმა, ალ. გეგელიამ, პართენ სულთანიშვილმა, დავით ჭანტურიამ და გოგლიძემ სამ-სამი მანეთი; არსენ გოგლიძემ, პეტრე ტარასოვმა და დავით ფურცელაძემ ორ-ორი მან; მელიტონ შავდიამ მანეთნახევარი; გიგო გრძელიშვილმა, ბუფეტჩიკმა ნასრაძემ, იაგორ მიკირტუმოვმა, სოლომონ ნასრაძემ და სიმონ მენაბდემ თითო მანეთი; იოსებ სეფისკვერაძემ, ლუკა დანელიამ, აბრამ ბალუაშვილმა, ოქროპირ განიძემ, ზურაბ ნადარეიშვილმა, მღვდელაძემ, სამსონ დარჯანიამ, რაჟდენ შავდიამ, ვასილ ფირცხალაშვილმა და სოფრომ ბაციკაძემ ათ-ათი შაური; კონსტანტინე ფანაკაძემ—30 კაპ.; ილია წერეთელმა 5 მ. 20 კაპ.

ქ. შ. წ. კ. საზოგადოების გამგეობა ულრმეს მადლობას სწირავს შემომწირველთ. ეს ცნობა დაბეჭდილი იყო „სახალხო გაზეთში“ 17 ნოემბერს 1911 წელს, № 453. ამ ნომრის ოთხი ცალი მე 19 ნოემბერს გავუგზავნე ბ-ნ ილია წერეთელს კოკანდში, თანახმად მაშინდელი მისი წერილისა. მაგრამ როგორც ამ წლის თებერვალში გამოგზავნილ წერილიდან სჩანს, ბ-ნ წერეთელს არ მიუღია გაზეთის ის ნომრები, სადაც ეს ცნობა იყო დაბეჭდილი, ამის გამო იძულებული ვარ გავიმეორო.

ამ ცნობას იმათვე საყურადღებოდ დავუმატებ: ილიას ძეგლი ჯერ მზად არ არის, კეთდება.

ამშენებელს სიტყვა აქვს მოცემული, რომ ამ წლის მაისის ათამდის დასრულებულ ძეგლს ჩააბარებს წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას. ძეგლის კურთხევა გამოცხადებული იქნება თავის დროზე. წ. კ. საზოგადოების გამგეობას სულ გამოელია ილიას ძეგლისათვის შეგროვილი ფული და ახლა სხვა თანხიდან ხარჯავს ძეგლის დასამთავრებლად. ძეგლის კურთხევისთანავე დაიბეჭდება მისი სრული ანგარიშიც.

წ. კ. საზოგადოების საქმის მწარმოებელი **გ. ბურჭულაძე.**

**რედაქტორ-გამომცემელი**
**ნ. კურდღელაშვილი.**

# გამოსადეგი ცნობა

## მატარებელთა მიმოსვლა

**ზამთრობით** (15 ოქტომბრიდან 1911 წ.)
(დრო ტფილის. საათითაა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

**ტფილისიდან გადის.**

**ბათუმისაკენ:** 1) სამგზავრ. მატარ. № 7, I—III კლ., საღ. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვოში 3 ს. 8 წ., რიონში დილ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) სამგზ. მატ. № 5, I—III კლ. საღ. 5. ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვოში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 საათ. 26 წ.

3) საფოსტო მატ. დილ. 9 ს. 50 წ., გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვოში 1 ს. 56 წ., რიონში დილ. 6 ს. 17 წ., ბათუმში 11 ს. 13 წ.

**ბაქოსაკენ:** 1) ჩქარი მატ. № 2, I—III კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალაჯარში ღამ. 1 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ.

2) სამგზ. მატ. № 6, I—II კლ. დღ. 3 ს. 38 წ., განჯაში ღამ. 9 ს. 46 წ., ბალაჯარში დილ. 7 ს. 34 წ., ბაქოში 8 ს. 11 წ.

3) საფოსტო მატ. № 4, I—III კლ. ღამ. 11 ს. 18 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალაჯარში დღ. 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ.

4) შერეულ. მატ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალაჯარში დილ. 5 ს. 58 წ., ბაქოში 7 ს. 12 წ.

**ბორჯომისაკენ:** 1) სამგზ. მატარებ. № 9/6ს, I—III კლ, დღ. 3 ს. 23 წ., ბორჯომში 9 ს. 2 წ.

**ჯულფასა და ერევნისაკენ:** 1) საფოსტო მატ. № 74/75, I—III კლ. საღ. 1 ს. 48 წ. ჯულფაში მეორე დღის საღ. 1 ს. 10 წ.

2) სამგზ.-საქონლ. მატარ. № 78—79, I—III კლ. დღ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილის 11 ს. 6 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბათომიდან;** ) სამგზ. № 6, I—III კლ. 2 ს. 50 ს. საფოსტ. № 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ. 3) სამგზ. № 8, II—III კლ. დილ. 5 ს. 33 წ.

**ბაქოდან:** 1) სამგზ. № 5, I—III კლას. საღ. 5 ს. 7 წ. 2) საფოსტ. № 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი № 1, I—III კლ. ღამ. 9 ს. 56 წ. 4) შერეული № 107, IV—III კლ. ღამის 9 ს.

**ერევან-ჯულფიდან:** საფოსტო მატ. № 72/73, I—II კლ. 8 ს. 25 წ. 2) სამგზავ.-საქონ. № 80/81, II და III კლ. დღ. 4 ს. 40 წ.

**ბორჯომიდან:** სამგზ. № 61/10, I—II კლ. დილ. 8 ს.

**შენიშვნები:** 1 გადაუჯდომლად პირდაპირ მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები პლაცკარტიანია (საკუთარ. საწოლებით).

## ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.
**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.
**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.
**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა. 1—14.
**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

—::—

## სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

## უფასო საექიმო დახმარება

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

| უბნები | |
|---|---|
| 1—2 | **გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592). |
| 3—4 | **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619). |
| 5—6 | **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680). |
| 6—7 | **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816). |
| 8—9 | **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715). |
| 10, 11—12 | **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 715) |

## გემების მიმოსვლა შავ-ზღვაზე.

(ზამთარში).

**რუსეთის საზოგადოებისა.**

**ბათომიდან გადის:** ოდესისაკენ პირველი—საფოსტო-სახალხო გემი სამშაბათობით ღამის 1 საათს, ყველა ზღვის პირა ქალაქს გაივლის. მეორეც—ხუთშაბათობით, ღამის 1 საათს. პირ და პირ—სოხუმით, გაგრათი, სოჭით, ტუაფსეთი, ნოვოროსიისკით-ფეოდოსიით, იალტათი, სევასტოპოლითა და ევპატორიით შაბათობით, შუაღამეს.

**სახალხო გემები** ყველა ზღვის-პირა ქალაქებზე ორშაბათობით და სამშაბათობით ნაშუადღევის 2 საათს.

**სახალხო-საქონლის** გემები — ესენიც ყველა ქალაქისკენ გაევლიან ოთხშაბათობით და პარასკეობით შუაღამეს.

# განცხადებანი

**ქ. გორში** (**ბედაბეთის მიდამოში**)
**იყიდება ან იძლევა იჯარით**
მშვენივრად შემოზღუდული ორი ხეხილიანი ვენახი—საკმარისი სარწყავი წყლით, ზომით ერთი 600, და მეორე 1200 საჟენი; თვითეულ მათში იმყოფება ქვიტკირის სახლი, სათონე —მარნით. ცნობებისათვის მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართვა: ქ. **ტფილისში,** ნიკოლოზის ქ. № 75, **ა თ-ძე მიროტინს, გორში**—ფოტოგრაფ **ქარუმიძეს.** (10.31 9.)

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**
**დილით:**
„606“—11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.
**შ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
**შ. გ. აგასართოვი:** 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** .—2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.
**საღამოთი:**
**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **შ. ა. ნ ავასარდიანი.**
(წ. 1074.55)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს, საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა.

**მსურს** იჯარით აღება
**მამულისა** ტფილისის გუბერნიაში (უსათუოდ სარწყავი) ტყით და სახლკარით, რკინის გზის სადგურზე დაშორებული 5—6 ვერსით, ან ტფილისზე შოსეთი—30 ვერსით. წინადადება გამოიგზავნება: Тиф. почт. кред. 3-х руб. бум. № 328510.
(2—1201—1)

**ყოველ-დღე მოგვდის:**
**ახალ-ახალი** ქვირითი 2 მ. 60 კ. გირ. ბოჩკის ხიზილალა 1 მ. 20 კ. გირ. წითელი ხიზილალა, ზუთხი, თართი, ლოქო, ფარგა, კობრი, [illegible] თევზეულობა, შამაია და ყოველგვარი გამოსული თევზი
(წ.—1131—35)

**ფეხსაცმელები**
თოჟა ნ. [illegible]
მაღაზია-სახელოსნოში.
იყიდება ყოველნაირი ფეხსაცმელი ქალისა, კაცისა და ბავშვისა, აგრეთვე ვიღებთ შეკვეთებსაც, ვამზადებთ საუკეთესო მასალისაგან ზომიერ ფასებში და ვასრულებთ პირნათლად. ადრესი: მუხრანის ქ., № 2.
(25—285—26)

**შემთხვევით**
**იყიდება სახლი**
ბანკის ვალით. თამარინის ქუჩაზე № 1. ნახვა შეიძლება საღამოობით 5—7 საათამდის. იკითხეთ ლეჟავა. იქვე იყიდება სახლის ავეჯეულობა.
(3—360—3)

**თევზის მრეწველნი**
**ძმ.**
**ძებველოვები.**
**პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.**
**ტელეფონი № 712.**

**იმერული შამპანიური**
**ღვინოები,**
**ფილიპე ნიკოლოზის ძის ჭელიძისა** [illegible]
„**კოლხიდა**“ და „**თამარა**“
მოიპოვება გასასყიდად ტფილისში:
1) **ვაგზლის ქუჩაზე, ზ. დ. თოიძის საგასტრონომიო მაღაზიაში** და
2) **მიხეილ. პროსპ. № 5, ა. ზ. ბერელაშვილის ღვინის საწყობში.**
**ფასები 1—20 კ. 1 50 მან.** ფირმა დაჯილდოვებულია რუსეთის გამოფენებზე ერთი ოქროსი და ოთხი ვერცხლის მედლებით. (17.[illegible]6.9)

**მევენახეთა და მებაღეთა საყურადღებოდ. ახალი სითხე ჟაკმენისა**
ქუთაისი **ნიკიფორე მოსეს ძე ჯანელიძის**
**სავაჭროში** მიღებულია და იყიდება ვენახისა და ხეხილების სხვა და სხვა სენის საქიმოდ, (შაბიამნისა და გოგირდის გარდა) ახლად შემოღებული სითხე **ჟაკმენისა**, რომელიც ნაცადი არის როგორც სხვა და სხვა ქვეყნებში ისე ქუთაისის გუბერნიაშიც და ძრიელ სასურველი შედეგიც მოიტანა. **ჟაკმენის** სითხით აქიმობა შეიძლება იმავე მანქანით, რომლითაც აქიმობენ შაბიამანს. ვინც **ჟაკმენის** სითხით უაქიმებს მაშინ გოგირდით აქიმობა **არ** არის საჭირო. დარიგება და **პრეისკურანტი** მსურველებს გაეგზავნებათ **უფასოდ. ჟაკმენის** სითხე იყიდება ქუთაისის გარდა შემდეგ ადგილებში: **ყვირილაში** ძმათა ბებიაშვილებთან და სიხარულიძე-მამალაძესთან. **ძირულაში** პეტრე ნიორაძესთან. **სვირში** სამუელ ღვალაძესთან. **სამტრედიაში** ივანე და ნიკ. ჯანელიძეებთან და ქართველიშვილ-ნაცვალაძესთან. **ახალ-სენაკში** ნიკო შონიასთან **ფოთში** ხოფერია-კინწურაიშვილთან. **ხონში** ერისტო ჭავჭანიძესთან. **ჩხარში** არტემ სიმონგულოვთან და **ბაღდათში** ანტონ ბუცხრიკიძესთან. უმთავრესი საწყობი ქუთაისის გუბერნიისათვის ქუთაისში ნიკ. მ. ჯანელიძის სავაჭროსთან. ადრესი ფოსტის და დეპეშის: ქუთაისი ჯანელიძე.
(8—1193—2)

**ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში**
**ისყიდება შემდეგი წიგნები:**
**გოგებაშვილი ი.** რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები 1 მან.
„ რანი ვიყავით გუშინ 20 კ.
„ Методика къ „Русскому слову для учащихъ . 40 „
„ Нормальное письмо . 20 „
„ Разборъ учебныхъ руководствъ по русскому языку . . . . . 50 „
„ Правда о Тифлисѣ . 20 „
„ Къ вопросу о поднятіи образованія среди груз. дворянства . . . . 20 „
„ Какъ улучшить Кавказскую народную школу? 30 „
„ Государственный языкъ въ Грузинской начальн. школѣ . . . . . 20 „
„ Къ вопросу о Мингрельской начальн. школѣ . 20 „
ახლად მიღებული წიგნები:
Къ матеріаламъ по драматической литературѣ XVIII вѣка.
ხახანაშვილი . . . 20 „
**თაყაიშვილი ე.** Разборъ Армазской надп. и деревянный антиминсъ Метехской церкви . . , . 10 „
„ Канчаетскій „Жамъ-гулани“. Груз надписи Ахталы. Ультиматумъ шаха Ага-Маго Метъ-Хана Ираклю II-му . . . . 15 „
„ Хроника Эристовскаго Акафи та . . . . 10 „
„ Еще одинъ изъ источниковъ исторій Грузій 30 „
„ Сигель груз. царя Баграта IV . , . . . 30 „
„ Матеріалы для ист. Грузіи 30 „
„ სიზმარი ყოვლად წმ. ღვთისმშობლისა. ადამის წერილი და ძელი ჭეშმარიტის გაჩენა . 15 „
ბე უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ О-во распространенія грамотности. (წ.—1141—24)

**სააქციონერო საზოგადოება**
**ს.-პეტერბურგის საქიმიო ლაბორატორია“.**
(დაარსებული 1860 წ.)
იზმაილოვის პროსპექტი, № 27.
**1900 წ. პარიზის ოქროს მედალი.**
**ო-დე-კოლონი ორადი.**
**ო-დე-კოლონი სამადი.**
**ო-დე-კოლონი № 4 ექსტრაქტი)“**
**ღირსებით არ ჩამოუვარდება უცხოეთის ნაწარმოებს.**
მთავარი საწყობი: ტფილისი, სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობა.
„**ს.-პეტერბურგის საქიმიო ლაბორატორიის**“ საზოგადოება თხოულობს, **რადგან ყალბი ნაწარმოებიც ჩნდება,** მიაქციონ ყურადღება ფირმის სახელწოდებას, რომელიც **მხოლოდ სამი სიტყვისაგან** შესდგება:
„**ს.-პეტერბურგის საქიმიო ლაბორატორია**“.
და **ნიშანს** საზოგადოებისას, რომელზედაც გამოხატულია ძეგლი **იმპერატორ პეტრე დიდისა,** ს.-პეტერბურგში, სენატის მოედანზე დადგმული.
(12—1297—9)

ტფილისი, მუხრანის ქუჩა № 12, სტამბა „შრომა“.